ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

**საქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)**

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შემენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად, შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
მიწა	არ ცვდება
შენობა - ნაგებობები	20-50
მანქანა - დანადგარები	10
კასრები და ავზები	5-50
სატრანსპორტო საშუალებები	10
ვენახი	25
საოფისე ინვენტარი და სხვა	5-10

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გრძელვადიანი ზრდისთვის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისათვის როგორიცაა: გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ან საქონლის საწარმოებლად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. ჯგუფი საინვესტიციო ქონების თავდაპირველ აღიარებას ახდენს თვითღირებულებით, თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შემენის მიმდინარე ფასს. საინვესტიციო ქონება ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

საინვესტიციო ქონებაზე, გარდა მიწისა, ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას. ცვეთა საინვესტიციო ქონების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად. შენობა-ნაგებობების სასარგებლო მომსახურების ვადები 20-დან 50-წლამდეა.

საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ქონება ხდება მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება, ხდება მისი რეკლასიფიკაცია ძირითად საშუალებებში და რეკლასიფიკაციის თარიღისთვის არსებული საბალანსო ღირებულება ხდება მისი დასაშვები ღირებულება სააღრიცხვო მიზნებისთვის.

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, თუ მომავალში მოსალოდნელია დანახარჯებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოდინება და დანახარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. სხვა დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, მათი გაწევის მომენტში.

ბიოლოგიური აქტივები

მრავალწლიანი ნარგავების აღრიცხვისათვის ჯგუფი იყენებს თვითღირებულების მოდელს. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც გაიწია მრავალწლიანი ნარგავების იმ მდგომარეობაში და კონდიციაში მოსაყვანად, რაც აუცილებელი იყო ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესასრულებლად.

მრავალწლიანი ნარგავები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. მრავალწლიანი ნარგავების ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი არის იმ კონდიციაში რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესასრულებლად. მრავალწლიანი ნარგავების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 25 წელს.

ბიოლოგიური აქტივები გარდა მრავალწლიანი ნარგავებისა საწყისი აღიარებისას და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები).

წარმოების პროცესში თვის განმავლობაში გაწეული ყველა საწარმოო ხარჯი, ნედლეული და სხვა გახარჯული მარაგი თავს იყრის მარაგების ანგარიშებზე. საწარმოო ხარჯების მაგალითია: ცვეთა, მომუშავეთა ხელფასი, დაცვის ხარჯი, მანქანა-დანადგარების დაზღვევა, ელექტროენერგიის ხარჯი და სხვა ზედნადები ხარჯები. საშუალო შეწონილი ღირებულება გამოიყენება წარმოების პროცესში გამოყენებული ნედლეულის თვითღირებულების განსაზღვრისთვის.

ინვესტიციები ერთობლივ და მეკავშირე საწარმოში

ინვესტიციები ერთობლივ და მეკავშირე კომპანიებში აღირიცხება წილობრივი მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება ინვესტიციის გაუფასურებაზე შემოწმება. დივიდენდები ერთობლივ და მეკავშირე კომპანიებიდან აღიარდება, როცა მტკიცდება ჯგუფის უფლება, მიიღოს აღნიშნული დივიდენდი.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ჯგუფი გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია საკუთარ კაპიტალად. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს დაპირებული საქონლის მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

ჯგუფის ამონაგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს ბრენდისა და სხვა ალკოჰოლური სასმლის რეალიზაცია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

ამონაგები ბრენდის და სხვა ალკოჰოლური სასმლის რეალიზაციიდან

ჯგუფი ამონაგებს იღებს პროდუქციის რეალიზაციით ადგილობრივ და უცხოურ ბაზარზე და პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს აღიარებს დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება, როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. ექსპორტის შემთხვევაში კონტროლი შესაძლოა გადავიდეს მომხმარებელზე, როგორც გაგზავნის ისე მიღების ადგილზე, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

კონტროლის გადაცემის მომენტის განსაზღვრისთვის ჯგუფი ეყრდნობა შემდეგ მსჯელობას: როგორც კი საქონელი მივა შეთანხმებულ ადგილზე, ჯგუფის აღარ გააჩნია მოცემულ საქონელზე მფლობელობის უფლება, რომელიც ამასთანავე წარმოქმნის ფულადი სახსრების მიღების უფლებას და მოცემული საკითხი არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან რისკებთან.

ჯგუფის რეალიზაციის ხელშეკრულებები არ ითვალისწინებს კონსიგნაციას, შესაბამისად, ჯგუფი დისტრიბუტორისთვის პროდუქციის მიწოდებისას ამონაგებს აღიარებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც აღნიშნული მხარე არ წარმოადგენს საბოლოო მომხმარებელს.

ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციის რეალიზაცია ძირითადად ხდება საბითუმოდ. საბითუმო რეალიზაციის შემთხვევაში, მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებს შესყიდული პროდუქციის უკან დაბრუნების უფლებას.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის ამონაგების ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

მოსალოდნელი ცვლადი ანაზღაურება, რომელიც დაკავშირებულია ბრუნვაზე მიზმულ ფასდაკლებაზე, ამცირებს მოსალოდნელ საკონტრაქტო ამონაგებს. ბრუნვაზე მიზმული ფასდაკლების პირობით პროდუქციის მიწოდებისას ჯგუფი შემოსავალს აღიარებს იმ მოცულობით, რომელსაც მაღალი ალბათობით არ მოუწევს უკუგატარება, როდესაც დადგინდება შეთავაზებული ფასდაკლების მიღების შესაძლებლობა.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

ჯგუფის კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. დიდი მოცულობის შეკვეთის შემთხვევაში ფასდაკლების შეთავაზებისას, ოპერაციის ფასი ერთეული პროდუქტისთვის გაიანგარიშება მთლიანი საკონტრაქტო ღირებულების გაყოფით პროდუქციის რაოდენობაზე.

გამოყენებული გათავისუფლება

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს რწმუნება იმის შესახებ, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში და შემოსავლის ოდენობა საიმედოდ იქნება შეფასებული. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება ოპერაციის პერიოდში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები იანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

ფულის და ფულის ეკვივალენტების და სხვა მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი საკურსო სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსები:

საქართველოს ეროვნული ბანკის
 ოფიციალური გაცვლითი კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.69	2.98
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.70	2.88
საშ. გაცვლ. კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის დასრ. წლისათვის	2.63	2.84
საშ. გაცვლ. კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის დასრ. წლისათვის	3.22	3.81

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

იჯარები

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფმა უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

**სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)**

იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფმა უნდა შეაფასოს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება; და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე, მოვლენები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომლებიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ დამკვლევას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფის არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც შევიდა ძალაში

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

2022 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ჯგუფს არ დაუწერგავს ახალი და შესწორებული სტანდარტები ან ინტერპრეტაციები, რომლებიც მიმდინარე ანგარიშგების პერიოდისათვის არ იყო სავალდებულო.

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები, რომლებიც ახლახან გამოიცა ან შეიცვალა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული, არ იქნა მიღებული ჯგუფის მიერ 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის. ჯგუფის ჯერ არ შეუფასებია ამ ახალი ან შეცვლილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების გავლენა.

ბასს 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა – მიმდინარე და გრძელვადიანი ვალდებულებების კლასიფიკაცია: ეს ცვლილება გამოიცა 2020 წლის იანვარში, ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგში პერიოდებისთვის. შესწორება:

- ქმნის ახალ განყოფილებას ვალდებულებების მიმდინარე და გრძელვადიანი კლასიფიკაციის მიზნით.

ანგარიშსწორება გულისხმობს კონტრაგენტზე გადაცემას, რაც იწვევს ვალდებულებების დაფარვას, რომელიც შეიძლება იყოს ნაღდი ფულით, სხვა ეკონომიკური რესურსით ან ერთეულის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით;

- განმარტავს რომ ვალდებულებების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს იმის ალბათობა, რომ ერთეული გამოიყენებს ვალდებულებების გადახდის უფლებას საანგარიშო პერიოდიდან სულ მცირე 12 თვე და ამის ნაცვლად ფოკუსირებულია გადახდის გადავადების უფლებებზე, რომლებიც არსებითია და არსებობს საანგარიშო პერიოდის ბოლოს

- განმარტავს, რომ თუ ანგარიშსწორების გადავადების უფლება ექვემდებარება სუბიექტს, რომელიც აკმაყოფილებს განსაზღვრულ პირობებს (ანუ შეთანხმებებს), უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთეული აკმაყოფილებს ამ პირობებს საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები: ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები ცვლის ფასს 4-ს - სადაზღვევო კონტრაქტები, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ პერიოდში. სტანდარტის მიზანი არის ფასს 17.1-ის მიხედვი პრინციპების ჩამოყალიბება სადაზღვევო კონტრაქტების აღიარების, შეფასების, წარმოდგენისა და გამჟღავნების შესახებ, რომლებიც შედის ფასს 17-ის ფარგლებში.

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობა	მანქანა- დანადგარები	კასრები და ავზები	ვენახები	საოფისე ინვენტარი და სხვა	სულ
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	9,340,214	19,729,899	2,563,583	5,828,519	277,386	3,793,912	41,533,513
შეძენა	-	9,230	263,670	946,701	-	438,811	1,658,412
გაყიდვა	-	-	(3,594)	(28,020)	(277,386)	(373,185)	(682,185)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,340,214	19,739,129	2,823,659	6,747,200	-	3,859,538	42,509,740
შეძენა	-	23,017	125,555	1,045,157	-	80,071	1,273,800
გაყიდვა	-	(34,525)	-	(89,560)	-	(91,675)	(215,760)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,340,214	19,727,621	2,949,214	7,702,797	-	3,847,934	43,567,780
ცვეთა და გაუფასურება							
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	(12,170,031)	(1,724,746)	(1,501,935)	(12,758)	(2,110,084)	(17,519,554)
წლის ცვეთის ხარჯი	-	(419,171)	(241,509)	(315,585)	-	(406,240)	(1,382,506)
გაყიდვა	-	-	284	12,463	12,758	71,973	97,478
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(12,589,202)	(1,965,971)	(1,805,057)	-	(2,444,351)	(18,804,582)
ცვეთა წლის მანძილზე	-	(420,209)	(236,174)	(436,226)	-	(355,823)	(1,448,432)
გაყიდვა	-	1,793	-	49,126	-	44,102	95,021
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(13,007,618)	(2,202,145)	(2,192,157)	-	(2,756,072)	(20,157,993)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	9,340,214	7,559,868	838,837	4,326,584	264,628	1,683,828	24,013,959
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,340,214	7,149,927	857,688	4,942,143	-	1,415,187	23,705,158
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,340,214	6,720,003	747,069	5,510,640	-	1,091,862	23,409,787

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ძირითადი საშუალებების ნაწილი დატვირთულია იპოთეკით/გირათი ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფის მიზნით. იპოთეკით დატვირთული ქონების საბალანსო ღირებულება ანგარიშგების თარიღებისთვის შესაბამისად შეადგენს 4,446,627 ლარს. (2022: 4,647,269 ლარი).

2023 წლის განმავლობაში ჯგუფმა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიიღო 11,427 ლარის მოგება (2022: 33,604 ლარი)

7. საინვესტიციო ქონება

ღირებულება	მიწის ნაკვეთები	შენობა-ნაგებობა	სულ
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,961,661	5,116,737	9,078,398
შეძენა	271,420	11,480	250,961
გასვლა	(900)	-	(900)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,232,181	5,128,217	9,360,398
შეძენა	-	533,655	533,655
გასვლა	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,232,181	5,661,872	9,894,053
დაგროვილი ცვეთა			
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	(2,686,954)	(2,686,954)
წლის ცვეთის ხარჯი	-	(171,779)	(171,779)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(2,858,733)	(2,858,733)
ცვეთა წლის მანძილზე	-	(121,924)	(121,924)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(2,980,657)	(2,980,657)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,961,661	2,429,783	6,391,444
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,232,181	2,269,484	6,501,665
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,232,181	2,681,215	6,913,396

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საინვესტიციო ქონების ნაწილი დატვირთულია იპოთეკით ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფის მიზნით. იპოთეკით დატვირთული ქონების საბალანსო ღირებულება აღნიშნული თარიღისთვის შეადგენს 1,014,223 ლარს (2022: 1,080,883 ლარი)

8. ინვესტიცია ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აღწერს ინვესტიციებს ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში, რომლებიც აღრიცხულია წილობრივი მეთოდით:

	შპს სარაჯიშვილი ვაინერი ენდ დისთილერი ერთობლივი საწარმო 50%	შპს ბრენდ მაღაზია სარაჯიშვილი ერთობლივი საწარმო 50%	შპს ადმირალი მეკავშირე საწარმო 37.5%	შპს გეო ნათსი მეკავშირე საწარმო 37.5%	სულ
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	9,950,029	356,538	313,783	67,983	10,688,333
ფული	-	135,000	104,000	247,021	486,021
მიღებული დივიდენდები	(150,000)	-	-	-	(150,000)
მოგების წილი წილობრივი მეთოდით აღრიცხულ ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში	587,146	66,740	(20,948)	(53,460)	579,478
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,387,176	558,279	396,835	261,545	11,603,832
ფული	310,600	(50,000)	141,250	28,250	430,100
მიღებული დივიდენდები	(350,000)	-	-	-	(350,000)
მოგების წილი წილობრივი მეთოდით აღრიცხულ ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში	(535,379)	39,950	(117,975)	(59,581)	(672,985)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,812,397	548,229	420,110	230,214	11,010,947

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ქვემოთ წარმოდგენილია მეკავშირე და ერთობლივი საქმიანობის საწარმოების არააუდიტირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლებიც აღრიცხულია წილობრივი მეთოდით:

	შპს სარაჯიშვილი ვაინერი ენდ დისთილერი ერთობლივი საწარმო 50% არააუდიტირებული 31 დეკემბერი 2023	შპს ბრენდ მაღაზია სარაჯიშვილი ერთობლივი საწარმო 50% არააუდიტირებული 31 დეკემბერი 2023	შპს ადმირალი მეკავშირე საწარმო 37.5% არააუდიტირებული 31 დეკემბერი 2023	შპს გეო ნათსი მეკავშირე საწარმო 37.5% არააუდიტირებული 31 დეკემბერი 2023
აქტივები				
სულ გრძელვადიანი აქტივები	11,347,515	281,160	162,127	69,548
სულ მიმდინარე აქტივები	2,006,974	162,472	297,502	165,212
სულ აქტივები	13,354,489	443,632	459,629	234,760
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	13,549,910	170,000	812,486	504,948
გაუნაწილებელი მოგება	(1,070,757)	213,380	(1,140,874)	(651,055)
სულ კაპიტალი	12,479,153	383,380	(328,389)	(146,107)
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	875,336	-	741,673	369,148
სულ მიმდინარე ვალდებულებები	-	60,252	46,344	11,719
სულ ვალდებულებები	875,336	60,252	788,017	380,867
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	13,354,489	443,632	459,628	234,760

საქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ქვემოთ წარმოდგენილია მეკავშირე და ერთობლივი საქმიანობის საწარმოების არააუდიტირებული მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების ელემენტები 2023 წლის წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის:

	შპს სარაჯიშვილი ვაინერი ენდ დისთილერი ერთობლივი საწარმო არააუდიტირებული 2023	შპს ბრენდ მაღაზია სარაჯიშვილი ერთობლივი საწარმო არააუდიტირებული 2023	შპს ადმირალი მეკავშირე საწარმო არააუდიტირებული 2023	შპს გეო ნათისი მეკავშირე საწარმო არააუდიტირებული 2023
შემოსავალი	523,648	1,426,860	90,625	93,264
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(238,378)	(1,045,903)	(78,125)	(80,400)
საერთო მოგება	285,270	380,957	12,500	12,864
ნეტო საოპერაციო შემოსავლები / (ხარჯები)	(1,356,027)	(242,509)	(338,440)	(196,346)
მოგება დაბეგვრამდე	(1,070,757)	138,447	(325,940)	(183,482)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	(58,548)	-	-
წმინდა მოგება	(1,070,757)	79,899	(325,940)	(183,482)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	11,341	24,598
სულ წლის სრული შემოსავალი	(1,070,757)	79,899	(314,599)	(158,884)
სს სარაჯიშვილის წილი	50%	50%	37.5%	37.5%
მოგების წილი წილობრივი მეთოდით აღრიცხულ ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში	(535,379)	39,950	(117,975)	(59,581)

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

9. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სპირტი	19,814,334	23,477,660
ბრენდი	13,105,055	11,722,928
შესაფუთი მასალა	9,562,735	7,830,792
სხვა	2,054,050	1,770,077
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	44,536,174	44,801,457

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საბრენდე სპირტის ნაწილი დატვირთულია ბანკებისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფის მიზნით. გირაოთი დატვირთული მარაგების ღირებულება ანგარიშგების თარიღებისთვის შესაბამისად შეადგენს 6,947,937 ლარს (2022: 4,424,944 ლარი).

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	16,429,484	16,183,127
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(6,088,627)	(5,952,577)
სულ ფინანსური მოთხოვნები	10,340,857	10,230,550
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	1,190,849	3,343,689
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	82,728	89,507
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(920,642)	(985,825)
სულ არაფინანსური მოთხოვნები	352,935	2,447,371
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,693,792	12,677,921

ჯგუფი მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შეფასებისთვის იყენებს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებულ მიდგომას ფასს 9-ის მიხედვით. კოლექტიურად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შეფასებისთვის, სავაჭრო მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის მიხედვით.

გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(6,430,074)
წმინდა ცვლილება 2022 წლის განმავლობაში	(1,390,559)
ჩამოწერა 2022 წლის განმავლობაში	882,231
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(6,938,402)
წმინდა ცვლილება 2023 წლის განმავლობაში	(651,143)
ჩამოწერა 2023 წლის განმავლობაში	580,276
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(7,009,269)

ფინანსური მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი და ჯგუფური გაუფასურება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2023	მიმდინარე	< 30 დღეზე	31-90 დღე	91-180 დღე	181-365 დღე	> 365 დღეზე	სულ
საკრედიტო ზარალის ანარიცხი(%)	10.56%	38.83%	52%	73.32%	96.73%	100%	
ფინანსური მოთხოვნები							
მთლიანი ღირებულება	1,339,972	394,911	973,141	77,015	11,884	694,486	3,491,409
ანარიცხი	(141,713)	(153,330)	(502,769)	(56,470)	(11,495)	(694,486)	(1,560,264)
სულ	1,198,258	241,581	470,372	20,545	389	-	1,931,145

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

31 დეკემბერი 2022	მიმდინარე	< 30 დღეზე	31-90 დღე	91-180 დღე	181-365 დღე	> 365 დღეზე	სულ
საკრედიტო ზარალის ანარიცხი(%)	10.56%	38.83%	52%	73.32%	96.73%	100%	
ფინანსური მოთხოვნები							
მთლიანი ღირებულება	724,274	64,058	1,586,763	39,520	15,758	890,128	3,320,501
ანარიცხი	(76,453)	(24,871)	(819,794)	(28,978)	(15,243)	(890,128)	(1,855,467)
სულ	647,821	39,187	766,969	10,542	515	-	1,465,034

ფინანსური მოთხოვნების ინდივიდუალური გაუფასურება 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ინდივიდუალური ფინანსური მოთხოვნები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მთლიანი ღირებულება	12,954,339	12,862,626
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(4,528,363)	(4,097,110)
სულ ინდივიდუალური ფინანსური მოთხოვნები	8,425,976	8,765,516

11. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სადეპოზიტო ანგარიშები ეროვნული ვალუტა	2,200,000	3,000,000
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	126,139	593,449
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	501,601	110,247
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	57,567	28,756
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	2,885,307	3,732,452

სადეპოზიტო ანგარიშს ეროვნულ ვალუტაში განთავსებულია ადგილობრივი ბანკის სადეპოზიტო ანგარიშზე და ერიცხება 9.25% წლიურად.

12. კაპიტალი

	31 დეკემბერი 2023			31 დეკემბერი 2022		
აქციონერები	წილი მთლიან აქციებში	აქციების რაოდენობა	ღირებულება	წილი მთლიან აქციებში	აქციების რაოდენობა	ღირებულება
მარინა მალაზონია	29.70%	538,617	3,074,894	29.70%	538,617	3,074,894
ზურაბ ბუბუტეიშვილი	29.99%	543,929	3,105,220	29.99%	543,929	3,105,220
გიორგი ბუბუტეიშვილი	19.85%	359,993	2,055,153	19.85%	359,993	2,055,153
თამარ ბუბუტეიშვილი	19.85%	359,993	2,055,153	19.85%	359,993	2,055,153
სხვა აქციონერები *	0.61%	11,135	63,569	0.61%	11,135	63,569
სულ გამოშვებული აქციები	100%	1,813,667	10,353,989	100%	1,813,667	10,353,989

* სხვა აქციონერები არ ფლობენ აქციების 0.1%-ზე მეტ წილს ინდივიდუალურად.

ერთი აქციის ნომინალური ღირებულება არის 5,70887 ლარი. 2022 წლის 10 აგვისტოს ჯგუფმა დაამტკიცა წესდების ახალი რედაქცია. ახალ წესდების ვარიანტში დაზუსტდა საწესდებო კაპიტალი და განისაზღვრა 10,353,989 ლარით.

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე გამოითვლება მოცემული წლისათვის ჯგუფის ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა მოგების/ზარალის შეფარდებით წლის განმავლობაში აქციონერთა მფლობელობაში არსებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილთან. ჯგუფის გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე უდრის საბაზისო შემოსავალს ერთ აქციაზე, რადგან ჯგუფს არ აქვს გაზავებადი პოტენციური ჩვეულებრივი აქციები.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია შემოსავლებისა და აქციების შესახებ, რომლებიც გამოყენებულია ერთ აქციაზე საბაზისო და გაზავებული შემოსავლის გამოსათვლელად:

	2023	2022
წმინდა მოგება	7,556,506	9,253,665
აქციების რაოდენობა	1,813,667	1,813,667
საბაზისო და გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე	4.17	5.10

2023 წლის განმავლობაში ჯგუფის მიერ გამოცხადებულმა დივიდენდმა შეადგინა 6,347,836 ლარი (2022: 6,347,836 ლარი) ხოლო გადახდილმა დივიდენდმა შეადგინა 6,754,877 ლარი (2022: 6,616,746 ლარი) (შენიშვნა 14).

13. მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მიღებული სესხის ძირი	15,935,907	19,336,541
მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი	87,451	341,135
სულ მიღებული სესხები	16,023,358	19,677,676

ჯგუფს სესხები მხოლოდ ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებიდან აქვს მიღებული.

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

მიღებული სესხები 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ნაჩვენებია ქვემოთ::

N	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდა	პროცენტის გადახდა	თანა. დაფ.	ვალუტა	გრძელვა დ. ნაწილი	მოკლევად. ნაწილი
სს ბანკი “ქართუ”	8/24/2022	8/24/2025	რეფ +3%	თვითრად	თვითრად	კი	ლარი	1,620,460	1,879,540
სს ბანკი “ქართუ”	1/31/2020	1/31/2027	რეფ+7%	წელიწადში ორჯერ	წელიწადში ორჯერ	არა	დოლარი	1,603,731	260,023
სს ბანკი “ქართუ”	9/7/2023	9/7/2026	რეფ+3%	თვითრად	თვითრად	კი	ლარი	1,167,637	-
სს ბანკი “ქართუ”	9/12/2022	8/24/2025	რეფ+3%	თვითრად	თვითრად	კი	ლარი	855,461	1,144,539
სს ბანკი “ქართუ”	9/20/2022	8/24/2025	რეფ+3%	თვითრად	თვითრად	კი	ლარი	470,505	629,495
სს ბანკი “ქართუ”	10/10/2022	10/10/2026	რეფ+3%	თვითრად	თვითრად	კი	ლარი	443,299	198,127
სს ბანკი “ქართუ”	11/12/2021	11/7/2028	რეფ+7%	წლიურად	წლიურად	არა	დოლარი	349,622	72,614
სს ბანკი “ქართუ”	6/22/2023	6/22/2027	რეფ+3%	თვითრად	თვითრად	კი	ლარი	342,998	108,136
სს ბანკი “ქართუ”	10/20/2021	10/20/2025	რეფ+3%	თვითრად	თვითრად	კი	ლარი	67,813	73,579
სს ბანკი “ქართუ”	2/9/2021	2/9/2024	რეფ+3%	თვითრად	თვითრად	კი	ლარი	-	1,145,320
სს ბანკი “ქართუ”	9/13/2021	2/9/2024	რეფ+3%	თვითრად	თვითრად	კი	ლარი	-	1,041,200
სს”საქართველოს ბანკი”	10/15/2021	9/13/2024	13%.	თვითრად	თვითრად	კი	ლარი	-	569,096
სს ბანკი “ქართუ”	8/23/2022	8/23/2024	რეფ+7%	თვითრად	თვითრად	არა	დოლარი	-	537,880
სს ბანკი “ქართუ”	9/12/2022	8/23/2024	რეფ+7%	თვითრად	თვითრად	არა	დოლარი	-	537,880
სს”საქართველოს ბანკი”	9/17/2021	9/17/2024	13%	თვითრად	თვითრად	კი	ლარი	-	380,715
სს ბანკი “ქართუ”	8/24/2022	8/23/2024	რეფ+7%	თვითრად	თვითრად	არა	დოლარი	-	255,192
სს ბანკი “ქართუ”	9/16/2021	2/9/2024	რეფ+3%.	თვითრად	თვითრად	კი	ლარი	-	95,601
სს ბანკი “ქართუ”	7/14/2020	7/14/2024	რეფ+4%	თვითრად	თვითრად	კი	ლარი	-	85,444
სულ მიღებული სესხის ძირი								6,921,526	9,014,381
გადასახდელი პროცენტი								-	87,451
სულ მიღებული სესხები								6,921,526	9,101,832

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

მიღებული სესხები 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ნაჩვენებია ქვემოთ::

N	დაწყების თარიღი	დასრულები ს თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდა	პროცენტის გადახდა	თანა. დაფ.	ვალუტა	გრძელვად. ნაწილი	მოკლევად. ნაწილი
C152	14/8/2018	14/8/2023	რეფ+4%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	-	193,646
C180	14/7/2020	14/7/2024	რეფ+4%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	85,444	132,971
C181	31/7/2020	31/7/2023	რეფ+4%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	-	334,918
C184	9/7/2020	9/7/2023	რეფ+3.75%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	-	582,189
C187	14/9/2020	9/7/2023	რეფ+3.75%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	-	851,744
N 6830908	18/9/2020	18/9/2023	საბაზისო+2%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	-	384,151
N 7691756	15/10/2021	13/9/2024	13%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	569,096	608,903
N 7605436	17/9/2021	17/9/2024	13%.	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	380,715	406,512
N 7176556	7/12/2021	7/12/2028	ლიბორ+6.4%	თვიურად	თვიურად	კი	დოლარი	-	-
C177	31/1/2020	31/1/2027	რეფ+7%	წელიწადში ორჯერ	წელიწადში ორჯერ	არა	დოლარი	1,872,488	-
C189	12/11/2021	7/11/2028	რეფ+7%	წლიურად	წლიურად	არა	დოლარი	424,214	67,550
C194	9/2/2021	9/2/2024	რეფ+3%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	1,145,320	1,274,680
C196	13/9/2021	9/2/2024	რეფ+3%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	1,041,200	1,158,800
C198	16/9/2021	9/2/2024	რეფ+3%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	95,601	106,399
C199	20/10/2021	20/10/2025	რეფ+3%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	141,392	64,393
C204	24/8/2022	24/8/2025	რეფ+3%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	3,500,000	-
C205	12/9/2022	24/8/2022	რეფ+3%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	2,000,000	-
C209	20/9/2022	24/8/2025	რეფ+3%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	1,100,000	-
C210	10/10/2022	10/10/2026	რეფ+3%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	641,426	172,789
სულ მიღებული სესხის ძირი								12,996,896	6,339,645
გადასახდელი პროცენტი								-	341,135
სულ მიღებული სესხები								12,996,896	6,680,780

საქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ყველა მიღებული სესხი უზრუნველყოფილია სასაქონლო მატერიალური მარაგებით, საინვესტიციო ქონებითა და ძირითადი საშუალებებით (უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-7, მე-8 და მე-9 განმარტებით შენიშვნებში).

საპროცენტო ხარჯმა 2023 წელს შეადგინა 2,109,146 ლარი. ჯგუფმა ასევე მიიღო საპროცენტო თანადაფინანსება სახელმწიფოსგან. ამ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი 1,308,447 ლარი დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ.

სესხებში განხორციელებული ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური აქტივობების შედეგად, შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

	2023	2022
ნაშთი წლის დასაწყისში	19,677,676	18,228,239
ფულადი ნაკადები	(5,644,307)	(234,778)
წმინდა ფულადი ნაკადები:		
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	2,109,146	2,166,091
საკურსო სხვაობის ეფექტი	(119,157)	(481,876)
ნაშთი წლის ბოლოს	16,023,358	19,677,676

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	3,073,969	2,883,106
გადასახდელი ხელფასები	151,820	88,433
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,225,789	2,971,539
არაფინანსური ვალდებულებები		
გადასახდელი დივიდენდები	3,224,158	4,000,063
მიღებული ავანსები	6,744	32,491
სულ არაფინანსური ვალდებულებები	3,230,902	4,032,554
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,456,691	7,004,093

15. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მომავალ პერიოდში მოგების განაწილების შედეგად, არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოადგენდა 1,095,413 ლარს (2022: 940,667 ლარი).

ჯგუფის მოგების გადასახადმა საანგარიშგებო პერიოდში შეადგინა 1,277,418 ლარი (2022: 1,235,935 ლარი).

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

16. შემოსავალი

	2023	2022
ექსპორტიდან	25,371,604	29,264,014
ადგილობრივი გაყიდვებიდან	15,758,832	13,469,812
სულ შემოსავლები	41,130,436	42,733,826

შემოსავლები პროდუქტების მიხედვით:	2023	2022
ჩამოსხმული ბრენდი	35,994,331	33,620,252
ბრენდის სითხე	3,327,995	6,348,346
ძლიერი ალკოჰოლური სასმელი	1,807,134	2,452,362
სხვა	976	312,866
სულ შემოსავლები პროდუქტების მიხედვით	41,130,436	42,733,826

შემოსავლები ექსპორტიდან ქვეყნების მიხედვით:	2023	2022
რუსეთი	9,106,226	10,338,598
ყაზახეთი	5,887,733	4,622,395
ბელარუსი	4,009,744	7,255,183
უკრაინა	2,099,678	3,408,877
პოლონეთი	919,749	780,326
სხვა	3,348,475	2,858,635
სულ შემოსავლები ექსპორტიდან ქვეყნების მიხედვით	25,371,604	29,264,014

17. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2023	2022
ექსპორტისთვის	12,838,504	15,234,428
ადგილობრივი გაყიდვებისთვის	6,005,402	5,816,724
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18,843,906	21,051,152

თვითღირებულება რეალიზებული პროდუქციის მიხედვით:	2023	2022
ჩამოსხმული ბრენდი	15,513,737	16,151,506
ბრენდის სითხე	1,239,801	2,658,648
ძლიერი ალკოჰოლური სასმელი	1,271,852	1,859,223
სხვა	818,516	381,775
სულ თვითღირებულება რეალიზებული პროდუქციის მიხედვით	18,843,906	21,051,152

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების კომპონენტები:	2023	2022
მარაგები	17,270,280	19,702,182
ხელფასები	900,981	778,585
ცვეთა და ამორტიზაცია	672,644	570,385
სულ თვითღირებულება რეალიზებული პროდუქციის კომპონენტების მიხედვით	18,843,906	21,051,152

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

18. სხვა შემოსავალი

	2023	2022
საიჯარო შემოსავლები	1,345,752	953,630
ეთილის სპირტის რეალიზაცია	124,647	366,846
ბოთლებისა და შესაფუთი მასალების გაყიდვა	8,138	212,444
ჩამოსხმის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	1,328	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	245,201	103,736
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,725,066	1,636,656

19. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	3,433,572	2,455,043
ცვეთა და ამორტიზაცია	919,674	1,007,058
მიმდინარე რემონტისა და შეკეთების ხარჯები	678,293	471,700
მივლინების და წარმომადგენლობითი ხარჯები	403,066	186,188
კომუნალური ხარჯები	246,383	243,552
პროფესიული და სხვა საკონსულტაციო მომსახურება	244,372	207,197
მოკლევადიანი იჯარის ხარჯები	186,010	95,240
ქონების გადასახადი	160,436	169,834
ტრანსპორტირების ხარჯები	137,783	162,023
საოფისე ხარჯები	94,023	68,540
ვენახის მოვლის ხარჯები	49,448	18,478
ბანკის მომსახურება	39,581	48,814
უსაფრთხოების ხარჯები	28,508	93,915
კომუნიკაცია	26,773	40,290
დაზღვევა	24,730	23,518
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	198,241	232,318
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6,870,893	5,523,708

20. გაყიდვის დანახარჯები

	2023	2022
საბროკერო ხარჯები	2,281,871	2,652,130
სარეკლამო ხარჯები	1,890,808	667,152
ტრანსპორტირების ხარჯები	667,325	565,862
ხელფასის ხარჯი	531,466	612,076
პროფესიული ხარჯები	105,566	62,937
სხვა გაყიდვის დანახარჯები	80,476	116,423
სულ გაყიდვის დანახარჯები	5,557,512	4,676,580

21. სხვა ხარჯები

	2023	2022
სხვა ხარჯები	961,727	389,435
საქველმოქმედო ხარჯები	411,262	292,946
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	37,560	264,628
სულ სხვა ხარჯები	1,410,549	947,009

22. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები - 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ აქვს მიმდინარე სასამართლო პროცესი და დავა. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საბოლოო ვალდებულებას, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას აქტივობებიდან ან საჩივრებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო ოპერაციებზე. ზემოხსენებულიდან გამომდინარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებულა ანარიცხი.

გადასახადები - საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ ჯგუფის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება.

ანგარიშგების თარიღისთვის ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი არ დაფიქსირებულა და ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მხარეებს შორის შეთანხმებული საკონტრაქტო ვალდებულების შეუსრულებლობის ალბათობა დაბალია. შესაბამისად, ანარიცხი არ შეუქმნია.

23. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

მენეჯმენტი თვლის, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის არ არის არსებითი სხვაობა.

24. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა კომპანიების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ჯგუფი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის.

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ჯგუფის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.

საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე ჯგუფი დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშობება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს ჯგუფისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. ჯგუფს შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც, თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	2,885,307	3,732,452
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,693,792	10,230,550
სულ ფინანსური აქტივები	13,595,361	13,963,002

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი მოცემულია მე-10 განმარტებით შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობება ჯგუფის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ ჯგუფი აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს ჯგუფის მიმდინარე ოპერაციებზე და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას. ჯგუფის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება იმ კაპიტალის და სახსრების მეშვეობით, რომლებიც გააჩნიათ მფლობელებს.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ 2023
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	2,885,307	-	-	2,885,307
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,693,792	-	-	10,693,792
საგადასახადო აქტივი	485,590	-	-	485,590
სულ ფინანსური აქტივები	14,064,689	-	-	14,064,689
ფინანსური ვალდებულებები				

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

მიღებული სესხები	9,101,832	6,921,526	-	16,023,358
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,456,690	-	-	6,456,690
საგადასახადო ვალდებულებები	1,095,412	-	-	1,095,412
სულ ფინანსური ვალდებულებები	16,653,934	6,921,526	-	23,575,460
ლიკვიდურობის პოზიცია	(2,589,245)	(6,921,526)	-	(9,510,771)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ 2022
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	3,732,452	-	-	3,732,452
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,230,550	-	-	10,230,550
სულ ფინანსური აქტივები	13,963,002	-	-	13,963,002
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	6,680,780	12,896,922	99,974	19,677,676
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,971,539	-	-	2,971,539
საგადასახადო ვალდებულებები	940,667	-	-	940,667
სულ ფინანსური ვალდებულებები	10,592,986	12,896,922	99,974	23,589,880
ლიკვიდურობის პოზიცია	3,370,016	(12,896,922)	(99,974)	(9,626,880)

ზემოთ აღნიშნული ლიკვიდურობის პოზიცია ჯგუფის საოპერაციო საქმიანობისთვის არის დამახასიათებელი და არ წარმოადგენს საფრთხეს ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპს.

საბაზო რისკი

საბაზო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	დოლარი	ევრო	2023
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	2,766,088	16,953	102,266	2,885,307
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,119,191	5,002,035	2,308,258	16,429,484
სულ ფინანსური აქტივები	11,885,279	5,018,988	2,410,524	19,314,791
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	2,518,570	368,062	187,337	3,073,969

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,406,416	3,616,942	-	16,023,358
სულ ფინანსური ვალდებულებები	14,924,986	3,985,004	187,337	19,097,327
ღია საბალანსო პოზიცია	(3,039,707)	1,033,984	2,223,187	217,464

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	დოლარი	ევრო	2022
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	3,146,610	528,599	57,243	3,732,452
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,077,995	2,821,105	1,331,450	10,230,550
სულ ფინანსური აქტივები	9,224,605	3,349,704	1,388,693	13,963,002
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	17,271,716	2,405,960	-	19,677,676
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,290,224	315,736	365,579	2,971,539
საგადასახადო ვალდებულებები	940,667	-	-	940,667
სულ ფინანსური ვალდებულებები	19,561,940	2,721,696	365,579	22,649,215
ღია საბალანსო პოზიცია	(10,337,335)	628,008	1,023,114	

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებს და აკორექტირებს მათ წლის ბოლოს უცხოური ვალუტის კურსის 20% -იანი ცვლილების პირობებში.

	ლარი/დოლარი +20%	ლარი/დოლარი - 20%	ლარი/ევრო +20%	ლარი/ევრო -20%
2023 წლის 31 დეკემბერი	206,797	(206,797)	444,637	(444,637)
2022 წლის 31 დეკემბერი	125,602	(125,602)	204,623	(204,623)

ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, მაგალითად საპროცენტო განაკვეთი, უცვლელია.

კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ ჯგუფმა გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება დამფუძნებლებისთვის.

ჯგუფი რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ჯგუფი მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ჯგუფმა შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

25. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ ორგანიზაციისთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული საწარმო“).

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

- (I) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის; ან
- (II) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
- (III) არის ანგარიშვალდებული ორგანიზაციის ან მისი სათავო ორგანიზაციის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.
- ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:
- (I) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო ორგანიზაციის სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);
- (II) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (III) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ ორგანიზაციის;
- (IV) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;
- (V) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებულ ორგანიზაციისთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.
- თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;
- (VI) ამ ორგანიზაციის აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება;
- (VII) (ა) (ი) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული ორგანიზაციის (ან მისი სათავო ორგანიზაციის) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (VII) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის სათავო ორგანიზაციისთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.
- დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	მფლობელები	სხვა დაკავშირებული მხარეები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	199,294	6,554,927
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(133,183)	-
ინვესტიციები ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში	-	11,010,950
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება		
შემოსავლები	87,044	12,861,273
სხვა შემოსავლები	-	-

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	მფლობელები	სხვა დაკავშირებული მხარეები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	210,719	271,487
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,457	1,374,796
ინვესტიციები ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში	-	11,603,832
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება		
შემოსავლები	20,529	1,195,848
სხვა შემოსავლები	-	67,771
	2023	2022
მფლობელებსა და მენეჯმენტზე გაცემული ანაზღაურება.	1,023,461	671,418

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2024 წელს ჯუფმა გამოაცხადა 6,347,835 ლარის დივიდენდი, ხოლო გადახდილმა დივიდენდებმა შეადგინა 8,105,562 ლარი;
- 2024 წელს ჯუფმა დაკავშირებულ მხარეზე გასცა 1,095,289 ლარის სესხი;
- 2024 წელს ჯუფმა მიერ დაუფმნებულია ერთობლივი საწარმო ჩინეთში, კაპიტალის სახით შეტანილია 303,753 ლარი;
- 2024 წელს ჯუფმა მიერ შექმნილია ერთობლივი საწარმო საქართველოში, კაპიტალის სახით შეტანილია 1,159,320 ლარი.

RSM Georgia85, Z. Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia

T: +995 (32) 255 88 99

Email: mail@rsm.ge

www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე სს „სარაჯიშვილის“ აქციონერებს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“).

მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2023 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განვიხიორციელება რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს არესემ საქართველოს (Reg. # SARAS-F-279563) სახელით
გარიგების პარტნიორი: ალი მურტუზა (Reg. # SARAS-A-577214)

2024 წლის 27 დეკემბერი
თბილისი, საქართველო



SINCE 1884

SARAJISHVILI

ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი

ს.ს. სარაჯიშვილი

კონსოლიდირებული მმართველობითი
ანგარიშგება

2023 წელი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება-----	1
ჩვენ შესახებ -----	2
პროდუქტები -----	4
ფინანსური მაჩვენებლები -----	6
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ -----	9
სავალდებულო სატენდერო შეთავაზებების შემთხვევაში აუცილებელი ინფორმაციის მიმოხილვა -----	9
ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში -----	9
კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები -----	10
კორპორაციული მართვა -----	10
სარეალიზაციო ბაზრები -----	15
კორპორაციული მართვის კოდექსის და პრაქტიკის მიმოხილვა და გადახვევები კორპორაციული მართვის კოდექსიდან -----	16
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები -----	16
რისკების მართვა -----	17
აუდიტის მოსაზრების მოდიფიცირების საფუძვლები -----	17
ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები -----	18

ჩვენ შესახებ


ს.ს. სარაჯიშვილი საქართველოში ღვინის ბრენდისა და მაგარი ალკოჰოლური სასმელების უძველესი კომპანიაა, რომელიც დაარსებიდან 140 წელს ითვლის. ფირმა 1884 წელს ქართველმა მეცნიერმა და მეცენატმა დავით სარაჯიშვილმა დააფუძნა. მისი მმართველობის პერიოდში ქართულმა ღვინის ბრენდმა, რომელიც იმ დროისათვის ქართული კონიაკის სახელით იყო ცნობილი, აღიარება მოიპოვა როგორც რეგიონალურ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.



საბჭოთა პერიოდში დავით სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანა სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა და „თბილისის კონიაკის ქარხანა“ ეწოდა. 1994 წლიდან კომპანია გადავიდა კერძო მფლობელობაში, ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოება და სარაჯიშვილის სახელი დაიბრუნა.



2005 წლამდე კომპანია სწრაფი ტემპით იზრდებოდა. მისი მთავარი ბაზარი რუსეთის ფედერაცია იყო. 2006 წლიდან, რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის აკრძალვის შემდეგ კომპანია ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. 2020 წელს კორონოვირუსის (COVID-19) გავრცელებამ შეაფერხა კომპანიის საექსპორტო ბაზრებზე პროდუქციის გაყიდვები. 2022 წელს უკრაინაში დაწყებული ომის გამო მკვეთრად დაიკლო უკრაინაში და რუსეთის ფედერაციაში ექსპორტი. ს.ს. სარაჯიშვილის გუნდმა ბოლო ათწლეულის განმავლობაში განვითარების სხვადასხვა ეტაპი გაიარა, რასაც თან სდევდა გარკვეული სტრატეგიული ცვლილებები ადგილობრივ და საექსპორტო ბაზრებზე.



განვითარების ყველა ეტაპზე ჯგუფის მთავარი ამოცანა იყო კომპანიის მდგრადი განვითარების შენარჩუნება, რაც აისახებოდა სანედლეულო ბაზის სწორი პოლიტიკის განსაზღვრაში, სარეალიზაციო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად ახალი პროდუქტების შექმნაში, კლასიკური და უნიკალური პროდუქტის ხაზების შექმნაში და სრულყოფაში, ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაში, სარეალიზაციო ბაზრებზე პოზიციონირების სტრატეგიის შემუშავებაში.

დღეს სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიები სამოცამდე დასახელების პროდუქციას აწარმოებს და 19 ქვეყანაშია წარმოდგენილი. ადგილობრივ ბაზარზე კომპანიას ღვინის ბრენდის გაყიდვებით პირველი ადგილი უკავია. სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიები კახეთის რეგიონში ფლობს ფრანგული შარანტის აპარატებით აღჭურვილ თანამედროვე ღვინის სპირტის სახდელ ქარხანას, რაც სანედლეულო ბაზის მაღალ ხარისხს განაპირობებს. აგრეთვე 2020 წელს ჯგუფმა შეიძინა 50% წილი ყურძნის მიმღებ და გადამამუშავებელ ქარხანაში, რომელსაც ასევე აქვს ღვინის სპირტის სახდელი სვეტები. ამ ინვესტიციამ საშუალება მისცა კომპანიას შეფერხების და ზედმეტი დანახარჯების გარეშე უზრუნველყოს ხარისხიანი საბრენდე სპირტის წარმოება.



პროდუქტები

ამჟამად, ჯგუფი სარაჯიშვილის ბრენდთან ერთად აწარმოებს ისეთი ტიპის ბრენდებს და მაგარ ალკოჰოლურ სასმელებს, როგორებცაა: ივერიონი, ერისთავი, ქართველი, ტიხარი, გრუზინსკი, დავითი, ტაგალი და სხვა.

სარაჯიშვილის ბრენდის ქვეშ გაერთიანებულია სამი ხაზი - კლასიკური, უნიკალური და ვინტაჟური.

კლასიკური ხაზი



LUXURY ხაზი



ფინანსური მაჩვენებლები

სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	23,409,787	23,705,158
საინვესტიციო ქონება	6,913,396	6,501,663
არამატერიალური აქტივები	134,108	157,265
ინვესტიცია ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში	11,010,947	11,603,832
სულ გრძელვადიანი აქტივები	41,468,238	41,967,918
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო მატერიალური მარაგები	44,536,174	44,602,115
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,693,792	12,677,921
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,885,307	3,732,452
საგადასახადო აქტივები	485,590	-
გაცემული სესხები	73,000	-
სულ მიმდინარე აქტივები	58,673,863	61,012,488
სულ აქტივები	100,142,101	102,980,406
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	10,353,989	10,353,989
გაუნაწილებელი მოგება	66,212,651	65,003,981
სულ კაპიტალი	76,566,640	75,357,970
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები	6,921,526	12,996,896
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	6,921,526	12,996,896
მიმდინარე ვალდებულებები		
მიღებული სესხები	9,101,832	6,680,780
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,456,691	7,004,093
საგადასახადო ვალდებულებები	1,095,412	940,667
სულ მიმდინარე ვალდებულებები	16,653,935	14,625,540
სულ ვალდებულებები	23,575,461	27,622,436
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	100,142,101	102,980,406

სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიები

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	2023	2022
შემოსავალი	41,103,083	42,733,826
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(18,843,906)	(21,051,152)
საერთო მოგება	22,259,177	21,682,674
სხვა შემოსავალი	1,725,066	1,636,656
მიღებული დივიდენდი	-	150,000
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(6,870,893)	(5,523,708)
გაყიდვის დანახარჯები	(5,557,512)	(4,676,580)
საექვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	(70,867)	(527,975)
სხვა ხარჯები	(1,410,549)	(947,009)
საოპერაციო მოგება	10,074,422	11,794,058
ფინანსური ხარჯი, წმინდა	(513,340)	(834,668)
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	(41,286)	(899,268)
მოგების წილი წილობრივი მეთოდით აღრიცხულ ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში	(672,985)	429,478
მოგება დაბეგვრამდე	8,846,811	10,489,600
მოგების გადასახადის ხარჯი	(1,290,305)	(1,235,935)
წმინდა მოგება	7,556,506	9,253,665
სხვა სრული შემოსავალი	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	7,556,506	9,253,665
საბაზისო და გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე	4.16	5.10

ამონაგები


შემოსავალი	2023	2022
ექსპორტიდან	25,371,604	29,264,014
ადგილობრივი გაყიდვებიდან	15,758,832	13,469,812
სულ შემოსავლები	41,130,436	42,733,826

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2023	2022
ექსპორტისთვის	12,838,504	15,234,428
ადგილობრივი გაყიდვებისთვის	6,005,402	5,816,724
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18,843,906	21,051,152


2023 წელს სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიების მიერ რეალიზებული პროდუქციის ღირებულებამ 41,1 მლნ. ლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი 4%-ით ნაკლებია წინა წლის გაყიდვებზე. 2020 წელს COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით მოხდა რეალიზაციის შემცირება. 2021 წელს COVID-19 პანდემიის უარყოფითი ეფექტის შესუსტების შედეგად მოხდა შემოსავლების ზრდა. 2022 წელს უკრაინაში დაწყებული ომის გამო მოხდა რეალიზაციის შემცირება, რომლის ეფექტი ეხლაც გრძელდება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია ბოლო ოთხი წლის განმავლობაში.

ცხრილი#1



2023 წელს საერთო მოგება 22,3 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო წმინდა მოგება - 7,6 მლნ ლარი. შესაბამისად საანგარიშო პერიოდში საერთო მოგების მარჟა 54%, ხოლო წმინდა მოგების მარჟა 18% დაფიქსირდა. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში წმინდა მოგება 0,4-ით შემცირდა, ხოლო საერთო მოგება არ შეცვლილა. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია საერთო და წმინდა მოგება ბოლო 4 წლის განმავლობაში.

ცხრილი#2



2022 წელს სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიების ROA 9%, ხოლო ROE 12% იყო. საანგარიშო პერიოდში ROA ორი პროცენტით შემცირდა და 7% შეადგინა, ხოლო ROE ორი პროცენტით შემცირდა და 10% შეადგინა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასესხო ვალდებულებები 3,7 მლნ. ლარით შემცირდა.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2023 წელს სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიების არ ქონდა საკუთარი აქციების შეძენა-გასხვისების ოპერაციები.

სავალდებულო სატენდერო შეთავაზებების შემთხვევაში აუცილებელი ინფორმაციის მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში სატენდერო შეთავაზება არ ყოფილა. სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიების საოპერაციო საქმიანობა არ არის დაკავშირებული რაიმე სახის სავალდებულო სატენდერო შეთავაზებებთან.

ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში

საანგარიშო წლის ბოლოს ჯგუფი ფლობს: შპს სარაჯიშვილი ვაინერი ენდ დისტრილერის 50%-ს, შპს ბრენდ მაღაზია სარაჯიშვილის 50%-ს, შპს ადმირალის 37,5%-ს, შპს გეო ნატისის 37,5%-ს. შპს ბრენდ მაღაზია სარაჯიშვილის ერთობლივი საწარმოს საქმიანობას წარმოადგენს სპირტიანი სასმელების საცალო რეალიზაცია, ხოლო შპს ადმირალი და შპს გეო ნათის ფლობს კახეთის რეგიონში კაკლის ბაღებს.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

სს სარაჯიშვილში და შვილობილ კომპანიებში მუდმივად მიმდინარეობს თანამშრომელთა გადამზადება, რაც მიზნად ისახავს კონკრეტულ სფეროში სიახლეების გაცნობას, კვალიფიკაციის ამაღლებას და კომპანიაში თანამედროვე მიდგომების დანერგვას. 2023 წელს პროფესიული მომზადება გაიარეს გაყიდვების და მარკეტინგის სამსახურების თანამშრომლებმა (კურსი: გაყიდვები დამართვა, მარკეტინგი), იმპორტ-ექსპორტის თანამშრომლებმა გაიარეს საბაჟოსთან ურთიერთობის, დეკლარირების ტრეინინგი.

კორპორაციული მართვა

სს სარაჯიშვილის და შვილობილი კომპანიების კორპორაციული მართვის მიზანია კომპანიის მმართველობის სრულყოფა და სისტემატიზაცია, ჰარმონიზაცია საერთაშორისოდ აღიარებულ კორპორაციულ სტანდარტებთან და პრინციპებთან, კორპორაციული მართვის ეფექტური მექანიზმების დანერგვა, რაც დაკავშირებულია პასუხისმგებლობების გამიჯვნასთან, გადაწყვეტილების ეფექტურად მიღებასთან, აქციონერთა უფლებების დაცვასთან, ინტერესთა კონფლიქტის ეფექტურად დარეგულირებასთან, ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნების, კონტროლისა და დაბალანსების პოლიტიკასთან და კორპორაციული მართვის სხვა საკითხებთან.

სს სარაჯიშვილში კორპორაციულ მმართველობით ორგანოებს წარმოადგენენ აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორები.

აქციონერთა საერთო კრება საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა, სადაც აქციონერები თავიანთ უფლებებს ახორციელებენ. საერთო კრება უფლებამოსილია: შეიტანოს ცვლილებები საზოგადოების წესდებაში; მიიღოს გადაწყვეტილება სხვა საზოგადოებებთან შერწყმის ან საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ; მიიღოს გადაწყვეტილებები ბირჟზე აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვების შესახებ; მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერთა მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება საწესდებო კაპიტალის მომატების დროს; მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორის წინადადება მოგების გამოყენების შესახებ, ან როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ; აირჩიოს აქციონერთა წარმომადგენლები სამეთვალყურეო საბჭოში; დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების ოდენობა; აირჩიოს აუდიტორი; მიიღოს გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესზე წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით; მიიღოს გადაწყვეტილებები “მეწარმეთა შესახებ” კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება 4 წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენციაა: კომპანიისა და მის მიერ შექმნილი საწარმოებისა და ფილიალების დირექტორების დანიშვნა და მათი გამოწვევა, მათთან შრომითი ხელშეკრულების დადება და შეწყვეტა; კონტროლი დირექტორების საქმიანობაზე; დირექტორებისაგან საზოგადოების ანგარიშის მოთხოვნა, დაკავშირებულ საწარმოებთან ურთიერთობის ჩათვლით; საზოგადოების საბუღალტრო წიგნების, ქონებრივი ობიექტების, საღაროს, ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობის შესწავლა და კონტროლი; წლიური ანგარიშებისა და მოგების განაწილების შესახებ დირექტორების მიერ მომზადებული წინადადებების განხილვა და შემოწმება; განხორციელებული შემოწმებისა და დირექტორების მიერ წარმოდგენილი პროექტების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა აქციონერთა საერთო კრებაზე. მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა: კაპიტალდაბანდებათა შეძენა და გასხვისება, ასევე მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:

კაპიტალდაბანდებათა შეძენა და გასხვისება, ასევე როგორც საწარმოების გასხვისება და საქმიანობის შეჩერება, რომელთა ღირებულება აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას; უძრავი ქონების და უძრავი ქონების მსგავსი უფლებების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა, გარდა იჯარისა, რომელთა ღირებულება აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას; ფილიალების შექმნა და მათი ლიკვიდაცია; წლიური ბიუჯეტის, როგორც საგეგმო ბალანსისა და მოგება-ზარალის გეგმის, ასევე ინვესტიციების გეგმის შეთანხმება, გრძელვადიანი ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებების შეფასება-შეთანხმება; ინვესტიციების დაბანდება ან ამოღება, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ-ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება ბოლო წლის აქტივების საბალანსო თანხის ათ პროცენტს; სესხების და კრედიტების აღება, რომელიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას; სესხების და კრედიტების უზრუნველყოფა, თუ ისინი არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას; ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან საქმიანობის არსებული სახის შეწყვეტა; სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა; ხელმძღვანელ თანამშრომელთათვის მოგებისა და სხვა მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის უზრუნველყოფის პრინციპების განსაზღვრა; სავაჭრო წარმომადგენლების დანიშვნა და გამოწვევა.

დირექტორები ხელმძღვანელობენ საზოგადოების საქმიანობას, განაგებენ საზოგადოების ქონებასა და სახსრებს, ხსნიან საბანკო დაწესებულებაში ანგარიშს, დებენ ყოველგვარ გარიგებებს და ახორციელებენ სხვა იურიდიულ აქტებს, გასცემენ წერილობით მინდობილობას, განსაზღვრავენ და ამტკიცებენ საზოგადოების მართვის სტრუქტურას, დებულებას და თანამშრომელთა შტატს, სამუშაოზე იღებენ და სამუშაოდან ითხოვენ საზოგადოების თანამშრომლებს, განსაზღვრავენ და ამტკიცებენ ამ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება-წახალისების წესსა და ოდენობას, რაც აისახება მათთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებში, ხელმძღვანელობენ საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების საქმეს და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენენ დასამტკიცებლად წლიურ ანგარიშსა და მოგების განაწილების წინადადებებს, წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების აღების გეგმებს, ახორციელებენ სხვა ნებისმიერ მოქმედებას საზოგადოების მიზნების მისაღწევად, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც აქციონერთა კრების და სამეთვალყურეო საბჭოს

კომპეტენციას განეკუთვნება. საზოგადოების ხელმძღვანელობა ევალებათ გენერალურ, ადმასრულებელ და ფინანსურ დირექტორებს, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება კი გენერალურ და ადმასრულებელ დირექტორებს.

დირექტორები ინიშნებიან და თავისუფლდებიან სამუშაოდან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. სამეთვალყურეო საბჭო არჩეულია აქციონერთა საერთო კრების მიერ 2 წლის ვადით და შედგება 4 წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან საბჭოს სხდომაზე არჩეულია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და შიდა აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება 2 წევრისგან. დირექტორთა საბჭოს სხდომები იმართება ყოველთვიურად, არანაკლებ 2 სხდომისა თვეში. დირექტორთა საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას აკონტროლებს ადმასრულებელი დირექტორი.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები იმართება საჭიროების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ ერთი სხდომისა ყოველკვარტალურად. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 2 სხდომა. სამეთვალყურეო საბჭოს შიდა აუდიტის კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში შეისწავლა 3 საკითხი. შიდა აუდიტის კომიტეტის ნახევარწლიური და წლიური მუშაობის შესახებ ინფორმაციები განხილულ იქნა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე და იგი გადაეცა დირექტორატს.


საზოგადოების აქციონერებს საზოგადოების მიმართ აქვთ უფლებათა ერთობლიობა, რომელთა შესრულებასა და დაცვას უზრუნველყოფს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო და კომპანიის გენერალური დირექტორი. აქციონერთა საერთო კრება წარიმართება იმგვარად, რომ ყველა აქციონერმა შეძლოს საკუთარი აზრის დაფიქსირება. ხმების დათვლა ხორციელდება გამჭვირვალედ და თითოეული მიღებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი აისახება კრების ოქმში. აქციონერებს უფლება აქვთ მიიღონ წმინდა მოგების ნაწილი დივიდენდის სახით. კომპანია ვალდებულია იღებს გადაიხადოს გაცხადებული დივიდენდები აქციონერთა საერთო კრების მიერ დადგენილ ფარგლებში შესაბამისი პერიოდულობით.

2023 წელს ჯგუფში შემაჯავალ კომპანიებში დასაქმებულთა საშუალო მაჩვენებელმა 102 ადამიანი შეადგინა. ორგანიზაციული სტრუქტურა ფუნქციური ხასიათისაა, რომელიც მოიცავს :

1. ოპერაციულ მიმართულებას;
2. კომერციულ მიმართულებას;
3. განყოფილებებს;
4. სამსახურებს.


ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია ჯგუფის დედა კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურული ქვედანაყოფები.

დიაგრამა #1




სარეალიზაციო ბაზრები

2023 წლის გაყიდვებში 38% ადგილობრივ, ხოლო 62% საექსპორტო ბაზრებს ეკავა. საანგარიშო პერიოდში კომპანიის პროდუქცია 13 საექსპორტო ქვეყანაში იყო წარმოდგენილი.



2023 წელს ხუთი უმსხვილესი საექსპორტო ბაზარი იყო: რუსეთი, ყაზახეთი, ბელარუსი, უკრაინა და პოლონეთი. ამ ქვეყნების საერთო წილმა ექსპორტის 87% შეადგინა.



სხვა ქვეყნებიდან აღსანიშნავია აშშ, ისრაელი, სლოვაკეთი, ჩინეთი, ლატვია, სერბეთი.

კორპორაციული მართვის კოდექსის და პრაქტიკის მიმოხილვა და გადახვევები კორპორაციული მართვის კოდექსიდან

სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიები იყენებს კორპორაციული მართვისა და კონტროლის ერთიან სისტემას, რომლითაც განსაზღვრულია სს სარაჯიშვილის მმართველი ორგანოს, აქციონერების და სხვა დაინტერესებული მხარეებს შორის უფლებები და პასუხისმგებლობები. კორპორაციული მართვა ასევე მოიცავს საწარმოს საქმიანობაზე მონიტორინგს.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიების საქმიანობის შედეგებზე, მომგებიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენენ შემდეგი რისკ ფაქტორები:

- საექსპორტო ბაზრებზე არსებული ეკონომიკური მდგომარეობა;
- ადგილობრივ ბაზარზე არსებული ეკონომიკური მდგომარეობა და სამომხმარებლო ბაზრის ცვლილება;
- ნედლეულის ფასების ცვლილება;
- კანონმდებლობის ცვლილება.

სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიების შემოსავლების 65%-ზე მეტი საექსპორტო ბაზრებზე მოდის, სადაც დიდი წილი პოსტსაბჭოთა ქვეყნებს უკავიათ. ბოლო წლების განმავლობაში ამ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა არ იყო მდგრადი. ადგილი ქონდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მკვეთრ ცვლილებებს, ეროვნული ვალუტების დევალვაციას, ინფლაციას, უმუშევრობის დონის მერყეობას და ა.შ. მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება მკვეთრად აისახება სს სარაჯიშვილის და შვილობილი კომპანიების გაყიდვების დინამიკაზე. ამ გარე ფაქტორის თავიდან ასაცილებლად კომპანია მუდმივად მუშაობს დივერსიფიცირების მიმართულებით, რაც ახალი - ურთიერთდამოუკიდებელი ბაზრების მოძიებაში მდგომარეობს.

ადგილობრივი სამომხმარებლო ბაზრის ცვლილება კომპანიისათვის ერთ-ერთ რისკფაქტორს წარმოადგენს. ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესებამ, რაც შემდგომში აისახება მომხმარებლის მსყიდველობით უნარიანობაზე, შესაძლოა გამოიწვიოს გაყიდვების შემცირება. ამ რისკის ასაცილებლად კომპანია ცდილობს შექმნას დივერსიფიცირებული პროდუქტების პორთფელი. პორთფელის დივერსიფიკაცია გულისხმობს საფასო დიაპაზონის ზრდას, რაც საშუალებას აძლევს სხვადასხვა შემოსავლების მქონე მომხმარებლებს დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნები.

მუდმივ ცვლილებას განიცდის სანედლეულო ბაზარზე არსებული მდგომარეობა. წლიდან წლამდე იცვლება ფასები ნედლეულზე, რაც განპირობებულია ორი ფაქტორით: ნედლეულზე წარმოქმნილი მოთხოვნა-მიწოდებით და რთველის პროცესში სახელმწიფოს ინტერვენციით.

საგადასახადო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა შესაძლოა იმოქმედოს ადგილობრივი ბაზრის გაყიდვებზე. ბოლო წლებში ადგილი ქონდა აქციზის გადასახადის ცვლილებას, რამაც კომპანიას გადააწყვეტინა მთლიანად შეეჩერებინა არყის წარმოება. ალკოჰოლური სასმელების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პოლიტიკის ცვლილებებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიაზე. შეიძლება თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ვალდებულებასთან.

2022 წლის თებერვლის თვეში უკრაინაში დაწყებული ომის გამო სს

სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიები ახალი რისკების წინაშე დადგა:

- ლოჯისტიკური ხარჯების გაზრდა;
- უკრაინის სარეალიზაციო ბაზრის გაჩერება;
- საერთაშორისო სანქციები რუსეთის მიმართ;

რისკების მართვა

ზემოთხსენებული რისკების გარდა სს სარაჯიშვილი და მისი შვილობილი კომპანია დგას სხვადასხვა ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

რისკების მართვის პრინციპებთან დაკავშირებით ინფორმაცია იხილეთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (განმარტებითი შენიშვნა 24)

აუდიტის მოსაზრების მოდიფიცირების საფუძვლები

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებისას დამოუკიდებელმა აუდიტორმა გამოთქვა პირობითი მოსაზრება. აღნიშნული პირობითი მოსაზრების საფუძვლებია:

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები 1993 წლამდე დამზადებული საბრენდე სპირტის თვითღირებულებაზე და მისი განსაზღვრის პრინციპზე, რომლის საბალანსო ღირებულებაც კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 10,752,651 ლარს (2022: 10,539,630 ლარი). შედეგად, ვერ განესაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მარაგების თვითღირებულებასთან დაკავშირებით, აგრეთვე კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

საბრენდე სპირტის წარმოების მიზნით მარაგებისა და საწარმოო დანადგარების შესაძენად, ჯგუფმა მიიღო სახელმწიფო გრანტი სესხის პროცენტის დაფინანსებაზე. 2023 წლის განმავლობაში მიღებული გრანტის მოცულობამ შეადგინა 1,308,447 ლარი (2022: 1,116,964 ლარი). ჯგუფმა მიღებული გრანტები არ აღრიცხა ფასს სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მიღებულ სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებით, აგრეთვე კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

ჯგუფის 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაში, განმარტებით შენიშვნებში არ არის გამჟღავნებული თვითღირებულებით აღრიცხულ საკუთრებაში არსებული საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაცია, როგორც ეს მოთხოვნილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ (ბასს) 40 „საინვესტიციო ქონება“-ით (პუნქტი 79). აღნიშნული წარმოადგენს ფასს-ების მოთხოვნებიდან გადახვევას, რის გამოც ჩვენი მოსაზრება არის მოდიფიცირებული.

ჯგუფი ფლობს ერთობლივ საწარმოს შპს „გრანელთან“ ერთად. 2023 წლის განმავლობაში აღნიშნულმა ერთობლივმა საწარმომ ჯგუფს 437,000 (2022:3,358,000) ლარის ოდენობის მომსახურება გაუწია. თუმცა, ჯგუფს არ განუხორციელებია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან არარეალიზებული მოგების ელიმინირება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ბასს 28 „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“-ის 28 პარაგრაფის მოთხოვნასთან, რომლის მიხედვითაც არარეალიზებული მოგება ერთობლივი საწარმოებიდან რომლებიც აღირიცხება წილობრივი მეთოდით უნდა ელიმინირებული იყოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან. ვინაიდან, ჩვენ ვერ მივიღეთ ინფორმაცია ერთობლივ საქმიანობის მიერ მიღებული არარეალიზებული მოგების შესახებ, შესაბამისად, ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ ამ საკითხის შესაძლო გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, რის გამოც ჩვენი მოსაზრება არის მოდიფიცირებული.

ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები

სარაჯიშვილის ჯგუფის 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 27 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ე.ბუბუტეიშვილი

გენერალური დირექტორი

ზ.ბუბუტეიშვილი

მთავარი ბუღალტერი

გ.ბუბუტეიშვილი


საბრენდე სპირტის წარმოების მიზნით მარაგებისა და საწარმოო დანადგარების შესაძენად, ჯგუფმა მიიღო სახელმწიფო გრანტი სესხის პროცენტის დაფინანსებაზე. 2023 წლის განმავლობაში მიღებული გრანტის მოცულობამ შეადგინა 1,308,447 ლარი (2022: 1,116,964 ლარი). ჯგუფმა მიღებული გრანტები არ აღრიცხა ფასს სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მიღებულ სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებით, აგრეთვე კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშების ელემენტებში.

ჯგუფის 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაში, განმარტებით შენიშვნებში არ არის გამჟღავნებული თვითღირებულებით აღრიცხულ საკუთრებაში არსებული საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაცია, როგორც ეს მოთხოვნილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ (ბასს) 40 „საინვესტიციო ქონება“-ით (პუნქტი 79). აღნიშნული წარმოადგენს ფასს-ების მოთხოვნებიდან გადახვევას, რის გამოც ჩვენი მოსაზრება არის მოდიფიცირებული.

ჯგუფი ფლობს ერთობლივ საწარმოს შპს „გრანელთან“ ერთად. 2023 წლის განმავლობაში აღნიშნულმა ერთობლივმა საწარმომ ჯგუფს 437,000 (2022: 3,358,000) ლარის ოდენობის მომსახურება გაუწია. თუმცა, ჯგუფს არ განუხორციელებია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან არარეალიზებული მოგების ელიმინირება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ბასს 28 „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“-ის 28 პარაგრაფის მოთხოვნასთან, რომლის მიხედვითაც არარეალიზებული მოგება ერთობლივი საწარმოებიდან რომლებიც აღირიცხება წილობრივი მეთოდით უნდა ელიმინირებული იყოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან. ვინაიდან, ჩვენ ვერ მივიღეთ ინფორმაცია ერთობლივ საქმიანობის მიერ მიღებული არარეალიზებული მოგების შესახებ, შესაბამისად, ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ ამ საკითხის შესაძლო გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, რის გამოც ჩვენი მოსაზრება არის მოდიფიცირებული.

ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები

სარაჯიშვილის ჯგუფის 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 27 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე  გ.ბუბუტეიშვილი

გენერალური დირექტორი



გ.ბუბუტეიშვილი

მთავარი ბუღალტერი



გ.ბუბუტეიშვილი



SINCE 1884

SARAJISHVILI

ს ა რ ა ქ ი შ ვ ი ლ ი

ს.ს. სარაქიშვილი

მის : ღავით სარაქიშვილის გამზირი N4

ტელ : 032 2 55 44 44

ელ-ფოსტა: info@sarajishvili.ge


დანართი 1. განაცხადი კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ

 საქართველოს ეროვნული ბანკი National Bank of Georgia	
განაცხადი კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ	
Application on submitting Corporate Governance Compliance Report	
თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY)	3 0 / 1 2 / 2 0 2 5

1. ინფორმაცია ემიტენტის შესახებ / INFORMATION ABOUT ISSUER	
ემიტენტის სახელწოდება/Issuer's Name	სს სარაჯიშვილი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა/Legal Form	სააქციო საზოგადოება
იურიდიული მისამართი/Legal Address	ქ. თბილისი სარაჯიშვილის გამზირი 4
ფაქტობრივი მისამართი/Factual Address	ქ. თბილისი სარაჯიშვილის გამზირი 4
ტელეფონის ნომერი/Contact Number	(+995 32) 2 55 44 44
ელ. ფოსტა/E-mail	info@sarajishvili.ge
ვებ-გვერდი/Web Site	www.sarajishvili.com

2. დანართების ჩამონათვალი/LIST OF APPENDIXES
განაცხადის ფორმას თან ერთვის შემდეგი დანართები (ასლებისა და ფურცლების რაოდენობის მითითებით) / Following annexes enclosed to the application (indicate number of copies and number of pages):

3. ინფორმაცია დეკლარანტის შესახებ/INFORMATION ABOUT APPLICANT PERSON	
სახელი და გვარი /Name and Surname	ზურაბ ბუბუტიშვილი
დაკავებული პოზიცია/Position Held	გენერალური დირექტორი
ტელეფონის ნომერი/Contact Number	(+995 32) 2 55 44 44
ელ. ფოსტა/E-mail	info@sarajishvili.ge

ხელმოწერა /Signature	თარიღი/DATE (DD/MM/YYYY)
	3 0 / 1 2 / 2 0 2 5

3. ინფორმაცია დეკლარანტის შესახებ/INFORMATION ABOUT APPLICANT PERSON	
სახელი და გვარი /Name and Surname	გიორგი ბუბუტიშვილი
დაკავებული პოზიცია/Position Held	მთავარი ბუღალტერი
ტელეფონის ნომერი/Contact Number	(+995 32) 2 55 44 44
ელ. ფოსტა/E-mail	g.bubuteishvili@sarajishvili.ge

ხელმოწერა /Signature	თარიღი/DATE (DD/MM/YYYY)
	3 0 / 1 2 / 2 0 2 5

დანართი 2. კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში

საკანონმდებლო მოთხოვნა	საკანონმდებლო მოთხოვნის აღწერა	მოთხოვნის შესრულება კი, არა, ალტერნატივა	მითითება წლიური ანგარიშში გამჟღავნებულ შესაბამის ინფორმაციაზე (ქვეთავი/გვ.)	შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელშიც დამატებით განსაზღვრულია კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
კორპორაციული მართვის კოდექსი, თავი II - მმართველი ორგანო					
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 1)	საწარმოს კორპორაციული მართვის ამ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორთა საბჭო ვალდებულია უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიანი შესრულება.	არა			საზოგადოებაში მიმდინარეობს კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიან შესრულებაზე მუშაობა.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ა" ქვეპუნქტი);	ა)საწარმოს უნდა გააჩნდეს საწარმოს წესდება, რომელიც განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათ მიერ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი;	კი	მმართველობითი ანგარიშგების 10-13 გვერდი		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ)საწარმოს უნდა გააჩნდეს ეთიკის კოდექსი, რომელიც დანერგავს თანამშრომლების და მმართველი ორგანოს წევრების ეთიკური ქცევის მაღალ სტანდარტებს.	არა			საზოგადოებაში მიმდინარეობს ეთიკის კოდექსის შემუშავება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "გ" ქვეპუნქტი)	გ)საწარმოს უნდა გააჩნდეს სტრატეგია და სათანადო რესურსები, რათა მიღწეულ იქნეს დასახული მიზნები, მათ შორის მდგრადი განვითარების მიზნებიც;	კი			განსაზღვრულია საზოგადოების წესდებით და სტრატეგიული პოლიტიკით
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "დ" ქვეპუნქტი)	დ)საწარმოს უნდა გააჩნდეს მდგრადი განვითარების მიზნები, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობის საკითხები, რომლებიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:				იხილეთ ქვედა პუნქტები
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "დ.ა" ქვეპუნქტი)	დ.ა.) ადამიანური რესურსების პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ეფუძნება როგორც ქართულ კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისოდ აღიარებულ შრომით სტანდარტებს და ადამიანის უფლებების დაცვას;	კი			წესდება. დამატებით განსაზღვრული იქნება საზოგადოების ეთიკის კოდექსით
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "დ.ბ" ქვეპუნქტი)	დ.ბ.) თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა;	კი			წესდება. დამატებით განსაზღვრული იქნება საზოგადოების ეთიკის კოდექსით
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "დ.გ" ქვეპუნქტი)	დ.გ.) გარემოს დაცვა გარემოსდაცვითი რეგულაციებისა და საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების შესაბამისად;	კი			წესდება. დამატებით განსაზღვრული იქნება საზოგადოების ეთიკის კოდექსით
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ე" ქვეპუნქტი)	ე)საწარმოს უნდა გააჩნდეს სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი კომიტეტთა დებულებები, რომელშიც გაწერილი იქნება კომიტეტის მანდატი, საქმიანობის მიმართულებები და პროცედურები, მათ შორის კომიტეტის სამეთვალყურეო საბჭოსთან ანგარიშგების, კომიტეტის წევრობასთან დაკავშირებული შეზღუდვების, კომიტეტის წევრთა როლებისა და ფუნქციების შესახებ საკითხები;	არა			მიმდინარეობს დებულებაზე მუშაობა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ)საწარმოს უნდა გააჩნდეს მკაფიოდ განსაზღვრული ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურა, სადაც არავენ სარგებლობს შეუზღუდავი უფლებამოსილებებით და რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების განსაზღვრის, რისკების ეფექტიანი იდენტიფიცირების, მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესებს, შესაბამის შიდა კონტროლის მექანიზმებს, მათ შორის ჯანსაღი ადმინისტრირებისა და სააღრიცხვო პროცედურებს, რისკების მართვის ეფექტურ საინფორმაციო სისტემებსა და კონტროლებს, ანაზღაურების პოლიტიკასა და პროცედურებს.	კი			წესდება. დამატებით დებულებაში
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 3)	საწარმოს მმართველი ორგანოს ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია საწარმოს კორპორაციული მართვის სისტემასთან არსებულ პრობლემურ საკითხებზე მიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს.	კი			წესდება. დამატებით დებულებაში
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 4)	საწარმოს წესდება, ეთიკის კოდექსი და კომიტეტთა დებულებები პერიოდულად უნდა განახლდეს და იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.	კი			ხდება საწარმოს წესდების განახლება პერიოდულად განახლდება ეთიკის კოდექსიც

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი5)	საწარმოში უნდა უზრუნველყოს საკუთარი კორპორაციული მართვის სისტემის ამ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობა. მის მიერ შემუშავებულ სხვადასხვა პოლიტიკასა და პროცედურებში სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული ამ კოდექსის მოთხოვნები.	არა			მიმდინარეობს მუშაობა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1)	თითოეულ საწარმოს უნდა გააჩნდეს ეთიკის კოდექსი, რომელიც აწესრიგებს ინტერესთა კონფლიქტის, ძალაუფლების ზორობად გამოყენების, კორუფციის, ინსაიდერული ვაჭრობის, ფულის გათეთრებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილების საკითხებს, კერძოდ, ეთიკის კოდექსი უნდა მოიცავდეს:	არა			საზოგადოებაში მიმდინარეობს ეთიკის კოდექსის შემუშავება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ა" ქვეპუნქტი)	ა) მითითებას იმის თაობაზე, რომ მმართველი ორგანოს წევრები და საწარმოს თანამშრომლები უნდა მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად და პროფესიონალურად;	არა			საზოგადოებაში მიმდინარეობს ეთიკის კოდექსის შემუშავება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) მითითებას იმის თაობაზე, რომ დირექტორები უნდა მოქმედებდნენ საწარმოს და აქტიონერთა/პარტნიორთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;	არა			საზოგადოებაში მიმდინარეობს ეთიკის კოდექსის შემუშავება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "გ" ქვეპუნქტი)	გ) არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის რეგულირებისა და მისი გამოვლენის პროცედურებს;	არა			საზოგადოებაში მიმდინარეობს ეთიკის კოდექსის შემუშავება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "დ" ქვეპუნქტი)	დ) კორუფციული პრაქტიკის აღკვეთის პროცედურებს, რომელიც მოიცავს ქრთამის, საჩუქრების თუ სხვა სახის სარგებლის შეთავაზებასა და მიღებას;	არა			საზოგადოებაში მიმდინარეობს ეთიკის კოდექსის შემუშავება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ე" ქვეპუნქტი)	ე) უკანონო ან არაეთიკურ ქცევასთან დაკავშირებით ინფორმაციის გამჟღავნების პროცედურებს;	არა			საზოგადოებაში მიმდინარეობს ეთიკის კოდექსის შემუშავება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ) საწარმოს ინფორმაციის, აქტივების მიზნობრივი გამოყენების დაცვისა და უზრუნველყოფის საკითხებს;	არა			საზოგადოებაში მიმდინარეობს ეთიკის კოდექსის შემუშავება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ზ" ქვეპუნქტი)	ზ) კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის საკითხებს;	არა			საზოგადოებაში მიმდინარეობს ეთიკის კოდექსის შემუშავება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "თ" ქვეპუნქტი)	თ) ანონიმური მხილების ეფექტურ სისტემას, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლებსა და დაინტერესებულ მხარეებს შეეძლებათ უკანონო/შესაბამის/არაეთიკური ფაქტების აონფიდენციალურად, ანონიმურად, დისკრეტიულად და არასათანადო მოპყრობის	არა			საზოგადოებაში მიმდინარეობს ეთიკის კოდექსის შემუშავება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი2)	საწარმოში ეთიკის კოდექსის შემუშავებასა და მისი სათანადო აღსრულების საკითხებზე მონიტორინგი უნდა განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭომ.	კი			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი3)	საწარმოს ეთიკის კოდექსი ვრცელდება საწარმოს მმართველ ორგანოსა და საწარმოში მომუშავე პირებზე.	არა			საზოგადოებაში მიმდინარეობს ეთიკის კოდექსის შემუშავება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1)	კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულებასთან ერთად, საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინდივიდუალურად და ერთობლივად პასუხისმგებელი არიან:	კი		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ა" ქვეპუნქტი)	ა) განსაზღვრონ საწარმოს ღირებულებები და მართონ საწარმო სამართლიანობის, კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა და ეთიკის პრინციპების სრული დაცვით;	კი		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) განსაზღვრონ საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა, მათ შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები იმგვარად, რომ უზრუნველყონ საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი;	კი		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "გ" ქვეპუნქტი)	გ) განსაზღვრონ საწარმოს ეთიკის პრინციპები და მუდმივად აფასებდნენ დირექტორთა საბჭოსროლს ჯანსაღი კორპორაციული და ეთიკური კულტურის დამყარებასა და შენარჩუნებაში, რაც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს არსებულ კანონმდებლობასთან, მათ შორის, ამ კოდექსთან, ასევე, საწარმოს ეთიკის კოდექსთან და საწარმოს შიდა სტანდარტებთან მუდმივ შესაბამისობას;	არა			საზოგადოებაში მიმდინარეობს ეთიკის კოდექსის შემუშავება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "დ" ქვეპუნქტი)	დ) დაამტკიცონ საწარმოს ყოველწლიური ბიუჯეტი, განსაზღვრონ საწარმოს სტრატეგია და მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთა საბჭოს მიერ სტრატეგიული მიზნების შესრულებას;	კი		საწარმოს წესდება	

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 1, პუნქტი 1, "ე" ქვეპუნქტი)	ე) დირექტორთა საბჭოსთან ერთად განსაზღვრონ და დაამტკიცონ საწარმოს რისკების მართვის ჩარჩო, რომლის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კონკურენტული გარემო, შესაძლო სამომავლო რეგულაციები, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები, საწარმოს გრძელვადიანი ინტერესები, რისკების ეფექტური მართვის, მონიტორინგისა და შიდა კონტროლის ფუნქციები;	კპ		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 1, პუნქტი 1, "ვ" ქვეპუნქტი);	ვ) მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთ საბჭოს საქმიანობას და შეაფასონ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები; უზრუნველყონ, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები დირექტორთა საბჭოსგან იღებდნენ საკმარის ინფორმაციას, მათ შორის განმარტებებსა და რწმუნებას იმის თაობაზე, რომ დირექტორთა საბჭოს საქმიანობა სრულად შეესაბამება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სტრატეგიასა და რისკების მართვის ჩარჩოს;	კპ		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ზ" ქვეპუნქტი)	ზ) მონიტორინგი გაუწიონ საწარმოში შრომის ანაზღაურების სისტემის გამართულ მუშაობას, რაც, მათ შორის, გულისხმობს დირექტორთა ანაზღაურების საკითხების განხილვასა და მონიტორინგს, საწარმოს რისკის კულტურასა და რისკის მართვის ჩარჩოსთან შესაბამისობას;	კპ		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "თ" ქვეპუნქტი)	თ) უზრუნველყონ დირექტორთა საბჭოსა და სხვა მნიშვნელოვანი თანამშრომლების ჩანაცვლების ეფექტური სისტემა და მონიტორინგი გაუწიონ მის განხორციელებას.	კპ		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 2);	სამეთვალყურეო საბჭო სულ მცირე კვარტალში ერთხელ უნდა მართავდეს სხდომებს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევებში, ზრდიდეს სხდომების სიხშირეს.	კპ		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 3)	საკუთარი ფუნქციების შესრულებისას, სამეთვალყურეო საბჭო, პირველ რიგში, უნდა ითვალისწინებდეს საწარმოს, აქციონერების/პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებს. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს აქციონერებთან/პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური კომუნიკაცია და თანამშრომლობა.	კპ		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 4)	სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად უნდა ხვდებოდეს დირექტორთა საბჭოსა და შიდა კონტროლის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს, მათ შორის, შიდა აუდიტის, რისკის მართვისა და შესაბამისობის ფუნქციების განმახორციელებელ პირებს, სხვადასხვა პოლიტიკისა და კონტროლების განსახილველად, მნიშვნელოვანი რისკების, იმ საკითხებისა და სფეროების იდენტიფიცირების მიზნით, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებენ. დირექტორთა საბჭოსთან კომუნიკაციის ფარგლებში, სამეთვალყურეო საბჭო კრიტიკულად უნდა აფასებდეს დირექტორთა საბჭოს მიერ წარმოდგენილ განმარტებებს და შესაბამის ინფორმაციას. ამასთან, საწარმოს ორგანიზაციული მოწყობის გათვალისწინებით, კორპორაციული მდივანი უნდა ითავსებდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმების წარმოებას. როგორც სამეთვალყურეო საბჭოს, ასევე სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი კომიტეტების სხდომის ოქმები, მიღებულ გადაწყვეტილებებთან ერთად, უნდა ასახავდეს იმას, თუ როგორ მოხდა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, მათ შორის, საბჭოს/კომიტეტის წევრების იმ მნიშვნელოვან პოზიციებს, რომლებმაც განაპირობა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება და ასევე საბჭოს იმ წევრების პოზიციებს, რომლებმაც მხარი არ დაუჭირეს მიღებულ გადაწყვეტილებას.	კპ			ხორციელდება. დამატებით განსაზღვრული იქნება კორპორაციული მდივნის უფლება მოვალეობებში
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 5)	სამეთვალყურეო საბჭომ წლიურ ანგარიშში უნდა აღწეროს ფინანსური წლის განმავლობაში მისი საქმიანობა, რომელიც, მათ შორის, მოიცავს ამ კოდექსის შესრულებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ასევე, მდგრადი განვითარების, გარემოსდაცვითი,სოციალურ და მმართველობის საკითხებს.	არა			

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 1)	სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა კომპეტენცია და უნარები ერთობლივად უნდა უზრუნველყოფდეს საწარმოს საქმიანობის სათანადოდ წარმართვისა და რისკების მართვის ეფექტური ექსპერტიზის შესაძლებლობას. სამეთვალყურეო საბჭოს ერთ მესამედს, მაგრამ არანაკლებ ორი წევრისა უნდა ჰქონდეს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უნარი და შესაბამისი გამოცდილება ფინანსურ, ეკონომიკურ, აუდიტორულ ან/და სხვა დაკავშირებულ სფეროებში. ამასთან, თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვერ ასრულებს დაკისრებულ ფუნქციებს ან აღარ შესაბამება კანონმდებლობით გასაზღვრულ მოთხოვნებს, სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, მათ შორის, მოითხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შეცვლა, მაგრამ, ერთდროულად, არაუმეტეს საბჭოს წევრთა ერთი მესამედისა და საქართველოს ეროვნულ ბანკს მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია.	კი			გათვალისწინებულია სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის შერჩევისას
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 2)	საქმიანობის მასშტაბისა და კომპლექსურობის მიუხედავად, საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან.	არა			შედგება 4 წევრისგან. გათვალისწინებულია მე-5 წევრის აჩევა და დამტკიცება.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 3)	საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე იმავდროულად არ შეიძლება იყოს ამ საზოგადოების დირექტორი.	კი		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 4)	სამეთვალყურეო საბჭოს ერთი მესამედი, მაგრამ არანაკლებ ორი წევრისა უნდა წარმოადგენდეს კორპორაციული მართვის კოდექსის მე-16 მუხლით განსაზღვრულ დამოუკიდებელ წევრს.	კი		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 5)	საწარმოს საერთო კრებამ უნდა უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს იმგვარად დაკომპლექტება, რომ დაცული იყოს მოსაზრებათა მრავალფეროვნების ბალანსი. აღნიშნული გულისხმობს საბჭოს განსხვავებული სქესის, უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე პირებით დაკომპლექტებას, რომლებსაც გააჩნიათ თავიანთი ფუნქციების შესრულებისთვის აუცილებელი დრო, რესურსი, სათანადო კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება, შესაბამისი კომპეტენცია და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება.	კი			გათვალისწინებულია სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 6)	საწარმოში უნდა არსებობდეს სამეთვალყურეო საბჭოს შერჩევის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები.	კი			გათვალისწინებულია შერჩევისას
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 7, პუნქტი 1)	სამეთვალყურეო საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს თავჯდომარეს, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს ეფექტიან ფუნქციონირებაზე, მათ შორის, საბჭოს წევრებს შორის ნდობისა და კოლეგიალური ურთიერთობის კოორდინაციასა და ეფექტიან თანამშრომლობაზე.	კი		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 7, პუნქტი 2)	სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე უნდა იყოს საბჭოს კორპორაციული მართვის კოდექსის კოდექსის მე-16 მუხლით გათვალისწინებული დამოუკიდებელი წევრი.	არა			მიმდინარეობს აქციონერებთან საკითხის დარეგულირება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 7, პუნქტი 3)	თუ სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე გადაწყვეტილების მიღების პროცესში აღმოაჩენს, რომ აქვს ან/და შესაბამისი, ჰქონდეს კანონმდებლობით დადგენილი ინტერესთა კონფლიქტი, მისი მოადგილე პასუხისმგებელია არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არიდებასა და გამორიცხვაზე.	კი		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 1)	სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები თავისი ფუნქციების შესრულებისას ხელმძღვანელობენ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კომიტეტების დებულების შესაბამისად.	არა			მიმდინარეობს დებულებაზე მუშაობა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 2); "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონი (მუხლი 9(1))	ყველა საწარმო, მიუხედავად მისი ზომითი კატეგორიის კომპლექსურობისა და საქმიანობის მასშტაბებისა, ვალდებულია, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისაგან შექმნას აუდიტის კომიტეტი.	არა			მიმდინარეობს დებულებაზე მუშაობა და კანდიდატების შერჩევა

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 3 და პუნქტი 4)	ეფექტიანობის გაზრდისათვის სასურველია სამეთვალყურეო საბჭოსთან სხვა ფუნქციის მქონე კომიტეტების შექმნაც, მათ შორის რისკების მართვის, ანაზღაურების, ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტები და სხვა. ამასთან, გარკვეულ ინდუსტრიაში მოღვაწე საწარმოებისთვის, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს სპეციფიკური მიზნობრიობის მქონე ცალკე კომიტეტების შექმნა, როგორიცაა ინფორმაციული ტექნოლოგიების, უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების კომიტეტები. რისკების მართვის, ანაზღაურების, ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტების არარსებობის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭომ ან არსებულმა კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ ამ კომიტეტების შესაბამისი ფუნქციების შესრულება.	არა			მიმდინარეობს დებულებაზე მუშაობა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 5)	სამეთვალყურეო საბჭო გონივრული პერიოდულობით უნდა ცვლიდეს კომიტეტის თავმჯდომარესა და წევრთა შემადგენლობას, რათა უზრუნველყოფილ იქნას კომიტეტის საქმიანობაში ახალი ხედვებისა და მიმართულებების წახალისება.	არა			გათვალისწინებული იქნება მომავალში სამეთვალყურეო აბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევისას
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 6)	კომიტეტების მიერ მიღებულ რეკომენდაციებსა და განხილვების შედეგებზე უნდა იწარმოებოდეს შესაბამისი ჩანაწერები, შესაძლებლობის შემთხვევაში კორპორაციული მდივნის მიერ. კომიტეტები გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშს რეგულარულად უნდა წარადგენდნენ სამეთვალყურეო საბჭოსთან.	არა			მიმდინარეობს დებულებაზე მუშაობა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 7)	კომიტეტი მინიმუმ 3 წევრისგან უნდა იყოს დაკომპლექტებული, გარდა მცირე ზომის საწარმოსი, რომლის კომიტეტებიც შეიძლება შედგებოდეს 2 წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ერთდროულად არ უნდა იყოს ორზე მეტი კომიტეტის წევრი.	არა			მიმდინარეობს დებულებაზე მუშაობა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 8)	კომიტეტების შეხვედრები წინ უნდა უძღოდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს. სხვა შემთხვევაში ისინი უნდა იკრიბებოდნენ წელიწადში მინიმუმ ორჯერ, ასევე, ნებისმიერ დროს აუცილებლობის შემთხვევაში.	არა			შესრულდება კომიტეტის მუშაობის დაწყების დროს
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 9)	სამეთვალყურეო საბჭო კომიტეტებში წევრებს საჭირო სპეციალიზებული უნარებისა და გამოცდილების გათვალისწინებით უნდა ნიშნავდეს. კომიტეტებში წახალისებული უნდა იყოს ობიექტურობა და არსებობდეს ჯანსაღი დისკუსიისთვის საჭირო გარემო.	არა			შესრულდება კომიტეტის მუშაობის დაწყების დროს
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 1)	აუდიტის კომიტეტი იკრიბება წელიწადში ოთხჯერ და წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშგებას წლიური და ნახევარწლიური ანგარიშგების დამტკიცების პერიოდის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია მოითხოვოს დირექტორთა, შიდა და გარე აუდიტორების და სხვა დაქირავებულ პირების შეხვედრაზე დასწრება.	არა			შესრულდება კომიტეტის მუშაობის დაწყების დროს
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2)	სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი აუდიტის კომიტეტი სხვა ფუნქციებთან ერთად პასუხისმგებელია:				იხილეთ ქვედა პუნქტები
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ა" ქვეპუნქტი)	ა) განსაზღვროს შიდა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკა;	არა			განსაზღვრული იქნება აუდიტის კომიტეტის დებულებაში
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) მონიტორინგი გაუწიოს ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესებს;	არა			განსაზღვრული იქნება აუდიტის კომიტეტის დებულებაში
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "გ" ქვეპუნქტი)	გ) მონიტორინგი გაუწიოს და აქტიურად ითანამშრომლოს საწარმოს შიდა და გარე აუდიტორებთან;	არა			განსაზღვრული იქნება აუდიტის კომიტეტის დებულებაში
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "დ" ქვეპუნქტი)	დ) შეაფასოს გარე აუდიტორის ეფექტიანობა, გამოთქვას მოსაზრება გარე აუდიტორთა კანდიდატურებთან დაკავშირებით, წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერებს/პარტნიორებს მათ კანდიდატურებთან,	არა			განსაზღვრული იქნება აუდიტის კომიტეტის დებულებაში
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2 "ე" ქვეპუნქტი)	ე) შეაფასოს შიდა აუდიტის საშუაშურის საქმიანობის ეფექტიანობა და დამოუკიდებლობა;	არა			განსაზღვრული იქნება აუდიტის კომიტეტის დებულებაში

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ) უზრუნველყოს შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობა, დამოუკიდებლობა და ეფექტური ურთიერთთანამშრომლობა;	არა			განსაზღვრული იქნება აუდიტის კომიტეტის დებულებაში
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ზ" ქვეპუნქტი)	ზ) განიხილოს გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილი და მონიტორინგი გაუწიოს დირექტორთა საბჭოს მიერ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით შესაბამის ზომების გააჩენებას;	არა			განსაზღვრული იქნება აუდიტის კომიტეტის დებულებაში
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "თ" ქვეპუნქტი)	თ) განიხილოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ჩასატარებელი შიდა აუდიტის ფარგლები და ჩატარების სიხშირე;	არა			განისაზღვრება კომიტეტის დებულებით
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ი" ქვეპუნქტი)	ი) მიიღოს შიდა აუდიტის ანგარიშგებები და უზრუნველყოს საწარმოს დირექტორატის მხრიდან სათანადო ღონისძიებების დროულად გატარება აუდიტის პროცესში ან	არა			განისაზღვრება კომიტეტის დებულებით
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "კ" ქვეპუნქტი)	კ) მონიტორინგი გაუწიოს საწარმოს საადრიცხო პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას;	არა			შესრულდება რეგულარულად
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ლ" ქვეპუნქტი)	ლ) განიხილოს საწარმოს რისკების მართვის მთლიანი ჩარჩო და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობა და სტრუქტურა, მათ შორის, განიხილოს მესამე პირთა	არა			შესრულდება რეგულარულად
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 3); "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონი (მუხლი 9(1), პუნქტი 1)	კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, მაგრამ, იმავდროულად, არ უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან/და სხვა კომიტეტის თავმჯდომარე.	არა			განსაზღვრული იქნება კომიტეტის შემადგენლობაში
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 4);	აუდიტის კომიტეტის წევრებს, მათ შორის კომიტეტის თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეთ ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უნარი და ჰქონდეთ ფინანსური განათლება ან შესაბამისი ფინანსური გამოცდილება.	არა	განსაზღვრული იქნება კომიტეტის შემადგენლობაში		განსაზღვრული იქნება კომიტეტის შემადგენლობაში
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 5);	აუდიტის კომიტეტის წევრებს მუდმივად უნდა ჰქონდეთ სრული წვდომა დირექტორთა საბჭოს, შიდა აუდიტისა და რისკების მართვის ფუნქციებთან. აუდიტის კომიტეტი ყოველწლიურად უნდა განიხილავდეს გარე აუდიტორთა დამოუკიდებლობას და კორპორაციული მართვის ანგარიშში ამჟღავნებდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:				იხილეთ ქვედა პუნქტები
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 5, "ა" ქვეპუნქტი);	ა) გარე აუდიტორებზე მთლიანი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაცემული ანაზღაურების შესახებ;	არა			განისაზღვრება კომიტეტის დებულებით
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 5, "ბ" ქვეპუნქტი);	ბ) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აუდიტორული და სხვა სახის მომსახურებებზე გაცემული ანაზღაურების ელემენტების ან შესაბამის უარყოფით მოსაზრებას საწარმოს წლიურ ანგარიშში. თუ გარე აუდიტორები, გარდა აუდიტორული მომსახურებისა, იმავდროულად უზრუნველყოფენ საწარმოსთვის სხვა სახის მომსახურების გაწევას, აუდიტის კომიტეტი უნდა განიხილავდეს ამ მომსახურებათა შინაარსსა და ფარგლებს და უზრუნველყოფდეს ობიექტურობის შენარჩუნებას და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვას.	არა			განისაზღვრება კომიტეტის დებულებით
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 6);	საწარმოს მიმდინარე აუდიტის განმახორციელებელი ფირმის/აუდიტორის ყოფილი პარტნიორი ან დირექტორი არ შეიძლება იმავდროულად იყოს საწარმოს აუდიტის კომიტეტის წევრი:	კი			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 6, "ა" ქვეპუნქტი);	ა) აუდიტორული ფირმის პარტნიორის ან დირექტორის პოზიციის დატოვებიდან 12 თვის განმავლობაში;	კი			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 6, "ბ" ქვეპუნქტი);	ბ) თუ მას აქვს გარკვეული სახის ფინანსური ინტერესი აუდიტორულ ფირმაში მიუხედავად პოზიციის დატოვებისა.	კი			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 1);	საწარმოს საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან შეიქმნას რისკების კომიტეტი, რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად:				იხილეთ ქვედა პუნქტები
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 1, "ა" ქვეპუნქტი);	ა) განიხილავს რისკის სტრატეგიებს როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის ჭრილში და აწვდის შესაბამის რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს;	არა			განისაზღვრება კომიტეტის დებულებით
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 1, "ბ" ქვეპუნქტი);	ბ) ამზადებს და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშგებას საწარმოში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს საწარმოს რისკის პოლიტიკას, სულ მცირე, ყოველწლიურად;	არა			განისაზღვრება კომიტეტის დებულებით

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 13, პუნქტი 2)	სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან ყოველწლიურ შეფასებას უნდა ექვემდებარებოდეს საბჭოს სტრუქტურა, ზომა და შემადგენლობა, ასევე სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი კომიტეტების სტრუქტურა და კოორდინაცია, საბჭოს თითოეული წევრის შესაბამისობა კანონმდებლობისა და საწარმოს შიდა წესების მოთხოვნებთან, ასევე, შეფასებული უნდა იქნეს საბჭოს შიდა მმართველობითი პრაქტიკებისა და პროცედურების ეფექტურობა.	კპ		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 13, პუნქტი 3)	სამეთვალყურეო საბჭოს უნდა გააჩნდეს თვითშეფასების და შეფასების შესაბამისი პროცედურები.	კპ			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 14, პუნქტი 1)	საწარმოს დირექტორთა საბჭო სხვა ფუნქციებთან ერთად, აღასრულებს საწარმოს ბიზნეს სტრატეგიებს, სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად ქმნის ფინანსური და არაფინანსური რისკების, მათ შორის მდგრადი განვითარების, გარემოსდაცვითი, სოციალური და მართვის ეფექტურ სისტემებს, რისკის კულტურას, პროცესებსა და კონტროლებს, აწვდის სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციას. აღნიშნული, მათ შორის, მოიცავს იმ ინფორმაციას, რაც საჭიროა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დირექტორთა საბჭოს საქმიანობის შეფასებისა და ზედამხედველობის ფუნქციის ეფექტურად შესრულებისთვის. სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია საწარმოს მნიშვნელოვან საკითხებსა და პრობლემებზე. საწარმოს დირექტორთა საბჭო ასევე პასუხისმგებელია საწარმოს თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების სწორად გადანაწილებასა და ეფექტური მმართველობის სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც საწარმოს შიგნით ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას უნდა უზრუნველყოფდეს.	კპ		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 14, პუნქტი 2)	საწარმოს დირექტორთა საბჭოს ფუნქციები და პასუხისმგებლობები განსაზღვრული უნდა იყოს საწარმოს წესდებით, რათა არ მოხდეს რომელიმე პირის/პირთა ჯგუფის მიერ განუსაზღვრელი კონტროლის მოპოვება საწარმოს ბიზნეს საქმიანობაზე.	კპ		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 14, პუნქტი 3)	დირექტორთა საბჭოს წევრებს უნდა გააჩნდეთ თავიანთი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებისთვის საჭირო გამოცდილება, კომპეტენცია და რესურსები. კომპეტენციებისა და საჭირო მიმართულებებით ცოდნის გაღრმავების მიზნით, მათ შესაბამის სწავლებებსა და გადამზადების პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა უნდა ეძლეოდეთ. დირექტორთა საბჭოს წევრების შერჩევა სასურველია, წინა საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების, საწარმოს სტრატეგიისა და სტრუქტურის შესაბამისად ხდებოდეს, ამ პროცესშიც ყოველ ეტაპზე შეფასებული უნდა იქნას კანდიდატების კვალიფიკაცია და უნარები.	კპ		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 15, პუნქტი 1)	ყველა საწარმოს დირექტორთა საბჭოს სტრუქტურულ წყობაში წარმოდგენილი უნდა იყოს აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია საწარმოს შიდა ოპერაციებზე, შესაბამისობასა და საქმიანობაზე და იმავდროულად მთავარი დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას ასრულებს საწარმოს დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის. მის დანიშვნაზე გადაწყვეტილებას სამეთვალყურეო საბჭო იღებს.	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 15, პუნქტი 2)	საწარმოს აღმასრულებელ დირექტორს უნდა გააჩნდეს თავისი ფუნქციების შესრულებისთვის აუცილებელი დრო, რესურსი, სათანადო კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება, შესაბამისი კომპეტენცია, საქმის და საწარმოს მდგრადი განვითარებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება.	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 16, პუნქტი 1)	საწარმოში სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს საქმიანობის განხორციელებისას უნდა ჰქონდეთ ობიექტური და დამოუკიდებელი ან სხვა გარე მხარის გავლენის/პოტენციური გავლენის გარეშე გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა და მათი რაოდენობა უნდა უზრუნველყოფდეს ნებისმიერი არსებითი ინტერესთა კონფლიქტის სათანადოდ განხილვის/აღმოფხვრის შესაძლებლობას.	კპ		საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1)	საწარმოში კორპორაციული მდივნის ინსტიტუტის არსებობა ხელს უწყობს, როგორც საწარმოს მმართველ ორგანოს, ასევე უშუალოდ საწარმოს მართებულ და ეფექტურ საქმიანობას. კორპორაციული მდივნის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, "ა" ქვეპუნქტი)	ა) ორგანიზაციული და ინფორმაციული მხარდაჭერის გზით, დაეხმაროს საერთო კრებას, სამეთვალყურეო საბჭოსა (კომიტეტების ჩათვლით) და დირექტორთა საბჭოს თავიანთი საქმიანობის განხორციელებაში;	არა			

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, "ზ" ქვეპუნქტი)	ბ) სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს მისცეს კორპორაციულ დოკუმენტაციასთან და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებული რჩევები;	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, "გ" ქვეპუნქტი)	გ) მჭიდროდ ითანამშრომლოს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსთან მათი სხდომის დღის წესრიგის შედგენისა და დაგზავნის, სხდომის ორგანიზებისა და ჩატარების, აგრეთვე, შეტყობინებების დაგზავნის საკითხებში;	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, "დ" ქვეპუნქტი)	დ) დაგეგმოს საჭირო ტრენინგები და მოსამზადებელი საორიენტაციო შეხვედრები უკვე მომზადებული თუ ახლად დანიშნულ/არჩეულ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს წევრებისათვის;	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, "ე" ქვეპუნქტი)	ე) აწარმოოს და/ან შეინახოს ყველა კორპორაციული დოკუმენტი, ოქმი თუ სხვა საჭირო საბუთი და ინფორმაცია მინიმუმ 6 წლის ვადით;	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ) განახორციელოს დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია აქციონერებს/პარტნიორებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს შორის;	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, "ზ" ქვეპუნქტი)	ზ) ორგანიზება გაუკეთოს აქციონერთა/პარტნიორთა საერთო კრების ჩატარებას, რეგარემე კრების მოწვევას და უზრუნველყოს ყველა საჭირო ვადებისა და პროცედურების დაცვა კრების ჩასატარებლად, უზრუნველყოს, რომ კრების ოფიციალური მოწვევის განმარტებულ პირს მიეწოდოს სრული ინფორმაცია იმ საკითხების შესახებ, რომელთა დღის წესრიგში შეტანა, კანონმდებლობის და წესდების დაცვით, მოთხოვნილ იქნა აქციონერთა/პარტნიორთა, სამეთვალყურეო საბჭოსა თუ დირექტორთა საბჭოს წევრების მიერ;	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, "თ" ქვეპუნქტი)	თ) უზრუნველყოს მარეგულირებელი/ზედამხედველი ორგანოების მიერ მიღებულ კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო და ასევე, საწარმოს მიერ მიღებული კორპორაციული მართვის კოდექსით გათვალისწინებულ პრინციპებთან შესაბამისობა;	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, "ი" ქვეპუნქტი)	ი) განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს სხდომების, აგრეთვე აქციონერთა/პარტნიორთა საერთო კრების მდივნის ფუნქცია და აწარმოოს ოქმები.	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 2)	კორპორაციული მდივანი წარმოადგენს უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფ პირს, რომელიც ახორციელებს საწარმოს მმართველი ორგანოს, აქციონერების/პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული პირების ინფორმაციულ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 3)	სამეთვალყურეო საბჭო უნდა დეტალურად განსაზღვრავდეს კორპორაციული მდივნის უფლებამოსილებასა და ვალდებულებებს, ფუნქციების ჩამონათვალს, საჭირო განათლებასა და კვალიფიკაციას, რომელსაც უნდა ფლობდეს კანდიდატი.	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 4)	სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს კორპორაციულ მდივანს და განსაზღვრავს შრომითი ხელშეკრულების პირობებს.	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 5)	კორპორაციული მდივანი ამავე დროს არ უნდა იყოს საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი, მინიჭებული ჰქონდეს გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, ან სხვაგვარად იყოს დაკავშირებული საწარმოსთან ისეთი ფორმით, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მას თავისი მოვალეობების მოუკერძოებლად და დამოუკიდებლად შესრულებაში.	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 18, პუნქტი 1)	თუ საწარმო წარმოადგენს პოლიდინგურ კომპანიას, ასეთ ჯგუფში შემავალი შვილობილი საწარმოების მმართველობითი სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია მშობელი საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო. აღნიშნული მმართველობითი სისტემა უნდა შეესაბამებოდეს ჯგუფისა და მასში შემავალ საწარმოების სტრუქტურას, ბიზნეს-საქმიანობასა და რისკებს.	არა			არ გამოიყენება სს "სარაჯიშივილი" არ არის პოლიდინგური კომპანია
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 18, პუნქტი 2)	მშობელი საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო უნდა ფლობდეს ინფორმაციას იმ არსებითი რისკებისა და საკითხების შესახებ, რასაც შესაძლოა გარკვეული გავლენა ჰქონდეს მასზე და მის შვილობილ საწარმოებზე. მშობელი საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო ადევკატურ მონიტორინგს უნდა უწევდეს შვილობილ საწარმოებს, რა პროცესშიც შენარჩუნებული უნდა იყოს შვილობილი საწარმოების მმართველი ორგანოს სამართლებრივი და მმართველობითი პასუხისმგებლობა.	არა			არ გამოიყენება სს "სარაჯიშივილი" არ არის პოლიდინგური კომპანია

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 18, პუნქტი 3)	თითოეული შვილობილი საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია საწარმოს შიგნით რისკების მართვის ეფექტური პროცესების შენარჩუნებაზე. საწარმოებმა ხელი უნდა შეუწყონ ჯგუფის დონეზე რისკების მართვის ეფექტურობას.	არა			არ გამოიყენება სს "სარაჯიშვილი" არ არის ჰოლდინგური კომპანია
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 18, პუნქტი 4)	მშობელი საწარმოს მმართველი ორგანო უნდა აფასებდეს ჯგუფის ცალკეული პოლიტიკის შესაბამისობას ადგილობრივ კანონმდებლობასა და საზედამხებველო მოთხოვნებთან და საჭიროების შემთხვევაში, შეცვალოს აღნიშნული პოლიტიკები და შეიტანოს მასში გარკვეული შესწორებები, როდესაც ჯგუფის პოლიტიკები ეწინააღმდეგება კანონმდებლობას/საზედამხებველო მოთხოვნებს ან/და აღნიშნული ზიანის მომტანი იქნება შვილობილი საწარმოს ჯანსაღი და პრუდენციული მართვის მიზნებისათვის.	არა			არ გამოიყენება სს "სარაჯიშვილი" არ არის ჰოლდინგური კომპანია
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 18, პუნქტი 5)	მშობელი საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო ეფექტურობის გაზრდის მიზნით უნდა ითხოვდეს პერიოდულ დამოუკიდებელ მიმოხილვას შვილობილი საწარმოების სტრუქტურის, მათი კონტროლებისა და საქმიანობის შესახებ ისევე, როგორც ინფორმაციას მათ მიერ დამტკიცებულ სტრატეგიასთან შესაფერისობის თაობაზე.	არა			არ გამოიყენება სს "სარაჯიშვილი" არ არის ჰოლდინგური კომპანია
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 18, პუნქტი 6)	სამეთვალყურეო საბჭო მუდმივად უნდა ინარჩუნებდეს მზადყოფნას, განახორციელოს შესაბამისი ანგარიშგება ზედამხებველ ორგანოსთან საწარმოში არსებული პოლიტიკისა და სტრატეგიების თაობაზე.	არა			არ გამოიყენება სს "სარაჯიშვილი" არ არის ჰოლდინგური კომპანია
კორპორაციული მართვის კოდექსი, თავი III - რისკების მართვა და შიდა კონტროლი					
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 19, პუნქტი 1)	რისკების მართვის სისტემის შექმნასა და მონიტორინგზე საბოლოო პასუხისმგებლობა სამეთვალყურეო საბჭოს აკისრია. საწარმოს რისკის იდენტიფიცირების, შემცირებისა და მინიმიზირების სისტემები უნდა შესაბამებოდეს საწარმოს ზომით კატეგორიას კომპლექსურობასა და რისკის პროფილს.	კო			წესდება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 19, პუნქტი 2)	სამეთვალყურეო საბჭო სრულყოფილად უნდა იცნობდეს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, საწარმოს რისკებს, მათ შორის გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს, ასევე, რისკებს ჯგუფისა და ბიზნესსაქმიანობის დონეზე, რაც უნდა მოიცავდეს როგორც მიმდინარე რისკების შესახებ ანალიზს, ასევე ახალი და მომავალი რისკების იდენტიფიცირების საკითხებს. აღნიშნულზე დაყრდნობით დოკუმენტურად უნდა იყოს განსაზღვრული საწარმოს რისკის მართვის ჩარჩო, რომელიც მჭიდროდ უნდა ემთხვეოდეს საწარმოს სტრატეგიას, კაპიტალს, ფინანსურ გეგმებსა და ანაზღაურების პრაქტიკებს.	კო			წესდება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 19, პუნქტი 3)	რისკის მართვის ჩარჩო უნდა იყოს თანმიმდევრული და გასაგები, გათვლილი საწარმოს მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივებზე. სამეთვალყურეო საბჭომ მინიმუმ ყოველწლიურად უნდა გადახედოს რისკის მართვის ჩარჩოს.	კო			წესდება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 19, პუნქტი 4)	საწარმოს უნდა გააჩნდეს რისკების მართვის სისტემა და დამტკიცებული პროცესები/პროცედურები ახალ პრიორიტეტებთან თუ მომსახურებასთან, გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან, ბიზნეს ხაზთან და მსხვილ და კომპლექსურ ტრანზაქციებთან, გამოყენებულ ტექნოლოგიებსა და მათ უსაფრთხოებასთან მიმართებით, რაც მნიშვნელოვან რესურსებს მოითხოვს ან/და რთულად განსაზღვრადი რისკები აქვს.	კო			წესდება. სტრუქტურული სამსახურები
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 19, პუნქტი 5)	ჰოლდინგური კომპანიების შემთხვევაში, რისკების იდენტიფიცირება და შეფასების მიდგომები უნდა არსებობდეს შვილობილ საწარმოებშიც. საწარმოს რისკების მართვის ჩარჩო უნდა მოიცავდეს არსებითი რისკის მატარებელი შვილობილი საწარმოებისაგან მომავალი რისკების შეფასებას და უნდა ითვალისწინებდეს მათი რისკების მართვის პროცესებში, შერწყმისა და მნიშვნელოვანი წილის შეძენის ტრანზაქციებს და სხვა მსგავს მნიშვნელოვან ცვლილებებს, რაც ასოცირდება მნიშვნელოვან გამოწვევებთან.	არა			არ გამოიყენება სს "სარაჯიშვილი" არ არის ჰოლდინგური კომპანია
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 19, პუნქტი 6)	სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად უნდა განიხილავდეს საწარმოს ძირითად პოლიტიკებსა და კონტროლის მექანიზმებს დირექტორთა საბჭოსთან და რისკების კომიტეტთან, შესაბამისობის და შიდა აუდიტის სამსახურის უფროსებთან ერთად იმ მიზნით, რომ გამოავლინოს და მათთან ერთად განიხილოს მნიშვნელოვანი რისკები, საკითხები და საჭიროებები.	არა			არ ფუნქციონირებს დირექტორთა საბჭო და არ არის ფორმირებული რისკების კომიტეტი

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 1)	რისკების ეფექტური მართვის ფუნქციის მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია საწარმოს გააჩნდეს ჯანსაღი შიდა კონტროლის სისტემები, რაც, მათ შორის, მოიცავს ეფექტიან შიდა აუდიტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოსთვის დამოუკიდებელი რწმუნების წარდგენას საწარმოს შიდა კონტროლის, რისკის მართვის, მართვის სისტემებისა და პროცესების ეფექტურობის თაობაზე.	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2)	სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორთა საბჭომ უნდა უზრუნველყონ შიდა აუდიტის დამოუკიდებლობა და ობიექტურობა, რაც გულისხმობს:				იხილეთ ქვედა პუნქტები
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "ა" ქვეპუნქტი)	ა) შიდა აუდიტის სრულ წვდომას საწარმოში არსებულ ინფორმაციასთან, ჩანაწერებთან, ოქმებთან და სხვა მონაცემებთან;	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) შიდა აუდიტის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, შიდა კონტროლის, რისკების მართვის სისტემებისა და პროცესების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასებისას;	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "გ" ქვეპუნქტი)	გ) შიდა აუდიტორებისგან მათი საქმიანობისას სრული შესაბამისობის მოთხოვნა შიდა და საერთაშორისო პროფესიულ სტანდარტებთან;	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "დ" ქვეპუნქტი)	დ) შიდა აუდიტის თანამშრომლების საკმარის ცოდნას, უნარებსა და რესურსებს საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, რაც უნდა შეესაბამებოდეს საწარმოს საქმიანობასა და რისკებს;	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "ე" ქვეპუნქტი)	ე) დირექტორთა საბჭოს ს მხრიდან აუდიტთან დაკავშირებული რეკომენდაციების გათვალისწინებასა და არსებული ნაკლოვანებების დროულ და ეფექტურ აღმოფხვრას;	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ) შიდა აუდიტის სამსახურის მიერ საწარმოს მთლიანი რისკების მართვის ჩარჩოს შეფასებას, რომელიც სულ მცირე მოიცავს:	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "ვ.ა" ქვეპუნქტი)	ვ.ა) რისკების მართვისა და შესაბამისობის ფუნქციების ეფექტურობის შეფასებას;	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "ვ.ბ" ქვეპუნქტი)	ვ.ბ) სამეთვალყურეო საბჭოსთან და დირექტორთა საბჭოსთან რისკების შესახებ ანგარიშგების პროცესების ხარისხის შეფასებას;	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "ვ.გ" ქვეპუნქტი)	ვ.გ) საწარმოს შიდა კონტროლების სისტემის ეფექტურობის შეფასებას.	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 3)	შიდა აუდიტის სამსახური ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოსა და მასთან არსებულ აუდიტის კომიტეტთან. სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის დანიშვნისა და გათავისუფლების, შეფასებისა და ანაზღაურების თაობაზე. დაუშვებელია შიდა აუდიტის თანამშრომლების ანაზღაურების დამტკიცებაში საწარმოს დირექტორთა საბჭოს მონაწილეობა.	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 4)	სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულების გარდა, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ დაუყოვნებლივ ანგარიშგება უნდა ხდებოდეს დირექტორთა საბჭოსთან იდენტიფიცირებული პრობლემურ საკითხებსა და შეფასების შედეგებზე.	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 5)	შიდა აუდიტის სამსახურის ზომა და სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს შიდა აუდიტისთვის განსაზღვრული მიზნების სირთულეს და საწარმოს წინაშე არსებულ რისკებს. საწარმოს აუდიტის კომიტეტმა შესაძლებლობა უნდა მისცეს შიდა აუდიტის სამსახურს, გარე სპეციალისტებისგან მიიღოს სამართლებრივი, ტექნიკური და სხვა სახის კონსულტაციები და მომსახურება.	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 6)	აუდიტის კომიტეტმა სულ მცირე წელიწადში ერთხელ მაინც, უნდა შეაფასოს საწარმოს შიდა კონტროლის და რისკების მართვის სისტემების ეფექტურობა და ამის თაობაზე მოახდინოს აქციონერთა/პარტნიოართა საერთო კრებას.	არა			

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 1 და პუნქტი 2)	მმართველი ორგანოს ანაზღაურების ოდენობისა და სტრუქტურის დამტკიცებაზე პასუხისმგებელია საერთო კრება. საწარმოს დოკუმენტურად უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ანაზღაურების პოლიტიკა, რაც სხვა საკითხებთან ერთად უნდა მოიცავდეს საქმიანობის შესაბამის ზომებს, ანაზღაურების ფორმებსა და მათ კომბინაციებს, მათ შორის, ფიქსირებული და ცვალებადი ანაზღაურების ფორმებს, ბონუსური სისტემის ელემენტებს და ასევე გადახდების გრაფიკებისა და პერიოდულობის საკითხებს.	კი			წესდება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 3)	ანაზღაურების თაობაზე კორპორაციული მართვის ანგარიშში გამქდავენების მიზნით უნდა მომზადდეს ანგარიში, სადაც გამქდავენებული უნდა იყოს მმართველი ორგანოს ანაზღაურების პოლიტიკა, ანაზღაურების ოდენობა და წებისმიერი სარგებელი. ასევე, წებისმიერი ცვლილება, რაც განხორციელდება ანაზღაურების პოლიტიკაში საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ ნათლად უნდა იყოს ასახული ანაზღაურების ანგარიშში.	კი			წესდება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 4)	დირექტორთა საბჭოს მიერ ანაზღაურების სისტემის ეფექტური ფუნქციონირების მონიტორინგზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც თავად ან ანაზღაურების კომიტეტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მეშვეობით სულ მცირე, ყოველწლიურად გადახედავს ანაზღაურების გეგმებს, პროცესებსა და შედეგებს.	კი			წესდება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 5)	სამეთვალყურეო საბჭო, ანაზღაურების კომიტეტთან ერთად ამტკიცებს, შიდა აუდიტის, კორპორაციული მდივნისა და, არსებობის შემთხვევაში, სხვა კომიტეტების ანაზღაურების პოლიტიკას, ოდენობას და ამასთან, მონიტორინგს უწევს ანაზღაურების პოლიტიკების, სისტემისა და დაკავშირებული კონტროლის პროცესების ეფექტურ ფუნქციონირებას.	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 6)	დირექტორთა საბჭოს წევრთა ანაზღაურება უნდა იყოს საკმარისი, მაგრამ არა გაუმართლებლად დიდი, იმისათვის რომ მოიზიდოს, შეინარჩუნოს და სათანადო მოტივაცია მისცეს მათ. დირექტორთა საბჭოს წევრთა ანაზღაურება უნდა ეფუძნებოდეს, როგორც მთლიანად საწარმოს გრძელვადიან შედეგებს, ისე ცალკეული წევრების საქმიანობის შედეგებსაც. თითოეული წევრის ანაზღაურების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობა, აგრეთვე საწარმოს ფინანსური, საოპერაციო მაჩვენებლები და კონკურენტების პოზიციები ბაზარზე.	კი			წესდება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 7)	სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება უნდა შეესაბამებოდეს მათ ჩართულობას, დაკისრებულ პასუხისმგებლობებს, გაწეულ ძალისხმევასა და დროის რესურსს. ანაზღაურება რისკის ქვეშ არ უნდა აყენებდეს მათ დამოუკიდებლობას. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება უნდა მოიცავდეს მხოლოდ ფიქსირებულ ანაზღაურებას და არ უნდა შეიცავდეს პრემიას ან ცვალებად კომპონენტს, რომელიც საწარმოს მიერ გარკვეული ფინანსური თუ საოპერაციო მაჩვენებლების მიღწევასთან არის დაკავშირებული.	კი			წესდება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8)	ანაზღაურების პოლიტიკა სულ მცირე უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს:				იხილეთ ქვედა პუნქტები
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8, "ა" ქვეპუნქტი)	ა) ანაზღაურების ფიქსირებული და ცვალებადი კომპონენტების განსაზღვრებებს;	კი			წესდება. მართველი ორგანოს ბრძანებები
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) ანაზღაურების თითოეული კომპონენტისთვის დაწესებულ მაქსიმალურ ზღვარს;	კი			წესდება. მართველი ორგანოს ბრძანებები
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8, "გ" ქვეპუნქტი)	გ) მმართველი ორგანოს წევრების საქმიანობის ეფექტურობის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს;	კი			წესდება. მართველი ორგანოს ბრძანებები
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8, "დ" ქვეპუნქტი)	დ) კავშირს ანაზღაურებასა და საქმიანობის ეფექტურობას შორის;	კი			წესდება. მართველი ორგანოს ბრძანებები
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8, "ე" ქვეპუნქტი)	ე) პრემიების სქემის პირობებს და პარამეტრებს;	კი			წესდება. მართველი ორგანოს ბრძანებები
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ) სხვა არაფულად ანაზღაურებას (საწარმოს აქციები, ოფიონები საწარმოს შემენაზე, დახვეწვა, საპენსიო სქემა და ა.შ.).	კი			წესდება. მართველი ორგანოს ბრძანებები

კორპორაციული მართვის კოდექსი, თავი IV - აქციონერთა/პარტნიორთა და დაინტერესებულ მხარეთა უფლებები					
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 1); გამჭვირვალობის წესის მე-9 მუხლი.	1. სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორთა საბჭომ უნდა უზრუნველყოს საწარმოს „გამჭვირვალობის წესის“ მე-9 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა, მათ შორის:				იხილეთ ქვედა პუნქტები
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 1, "ა" ქვეპუნქტი); გამჭვირვალობის წესის მე-9 მუხლი.	ა) უზრუნველყოს თანაბარი მოპყრობა ფასიანი ქაღალდების ყველა მფლობელის მიმართ, რომლებიც თანაბარ პირობებში იმყოფებიან;	კი			წესდება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 1, "ბ" ქვეპუნქტი); გამჭვირვალობის წესის მე-9 მუხლი.	ბ) გაასაჯაროს ინფორმაცია ფასიანი ქაღალდის მფლობელთა უფლებებისა და ფასიანი ქაღალდების პირობების ცვლილებების შესახებ (მე-9 მუხლი, პუნქტები 2-3);	კი			წესდება. საერთო კრება. კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 1, "გ" ქვეპუნქტი); გამჭვირვალობის წესის მე-9 მუხლი.	გ) ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციისა და საშუალებების ხელმისაწვდომობა;	კი			წესდება. საერთო კრება. კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 2);	საწარმომ უნდა უზრუნველყოს, რომ აქციონერები/პარტნიორები კარგად აცნობიერებდნენ კორპორაციული მართვის პრინციპებს და უნდა მისცეს მათ შესაბამისი განმარტებები კოდექსიდან გადახვევის შემთხვევაში, ასევე, მისცეს მათ საშუალება გამოთქვან თავიანთი დასაბუთებული მოსაზრებები აღნიშნულთან დაკავშირებით. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა გამართოს დიალოგი აქციონერებთან/პარტნიორებთან, თუ ისინი არ ეთანხმებიან საწარმოს პოზიციას საწარმოს ზომითი კატეგორიის კომპლექსურობის, მის წინაშე არსებული რისკებისა და გამოწვევების გათვალისწინებით.	არა			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 3);	აქციონერებს/პარტნიორებს უნდა შეეძლოთ საკუთარი უფლებების დაცვა და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.	კი			წესდება. კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 4);	საწარმომ უნდა უზრუნველყოს აქციონერებთან/პარტნიორებთან და პოტენციურ აქციონერებთან/პარტნიორებთან კომუნიკაციისა და ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკის დანერგვა. აქციონერებს/პარტნიორებს უნდა შეეძლოთ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს წევრებისგან მათთვის საჭირო ინფორმაციის მიღება, ასევე რიგგარეშე აქციონერთა/პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	კი			წესდება. კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 5);	სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორთა საბჭომ, აქციონერთა/პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, უნდა უზრუნველყონ ეფექტური და სამართლიანი ურთიერთობა აქციონერებთან/პარტნიორებთან და ხელი შეუწყონ აქციონერების/პარტნიორების აქტიურ მონაწილეობას საერთო კრების მუშაობაში.	კი			საერთო კრება. კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 6)	საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას - მოადგილე, მოადგილის არყოფნისას კი - ერთ-ერთი დირექტორი. მათი არყოფნისას კრების თავმჯდომარეს ხმათა უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება. მმართველი ორგანოს ყველა წევრი, შიდა აუდიტის და სხვა კომიტეტების თავმჯდომარეები, ასევე გარე აუდიტორები უნდა ესწრებოდნენ საერთო კრებას. საერთო კრების ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს, რომ აქციონერთა/პარტნიორთა კითხვებს გაეცეს პასუხი. დირექტორებმა უნდა უპასუხონ აქციონერთა/პარტნიორთა კითხვებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პასუხი მატერიალურ ზიანს მიაყენებს საწარმოს, მის აქციონერებს/პარტნიორებსა და დასაქმებულებს, ან დაარღვევს კანონმდებლობის მოთხოვნებს.	კი			საერთო კრება. კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 7);	საწარმომ უნდა გაასაჯაროს კორპორაციული მართვის კოდექსის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია და საერთო კრების ოქმი.	კი			საერთო კრება. კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 23, პუნქტი 1);	საწარმოს უნდა გაჩნდეს შესაბამისი პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა ინტერესებს და უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჟღავნების ადეკვატურ დონეს.	კი			საერთო კრება. კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 23, პუნქტი 2);	საწარმოს ვებ-გვერდი გამართულად უნდა ფუნქციონირებდეს, რათა ინვესტორებსა და დაინტერესებულ პირებს ჰქონდეთ წვდომა საწარმოს ფინანსურ და სხვა სახის ინფორმაციაზე, მათ შორის კორპორაციულ მართვასთან და გარემოსდაცვით, სოციალურ მმართველობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე.	კი			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 23, პუნქტი 3);	მმართველმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ თავისუფლად გამოთქვან თავიანთი მოსაზრება საწარმოში არსებულ არაკანონიერ ან არაეთიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებით და ეს არ უნდა გახდეს მათი უფლებების შელახვის მიზეზი.	კი			საზოგადოებაში არსებობს კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებები
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 23, პუნქტი 4);	სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს გააზრებული უნდა ჰქონდეთ დაინტერესებულ მხარეთა უფლებები და ინტერესები და უზრუნველყონ მათთან ეფექტური ურთიერთობა.	კი			წესდება

დანართი 3. დამატებით წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაცია	საჯაროდ ხელმისაწვდომია კი/არა	შესაბამისი მისამართი/ ჰიპერლინკი	შენიშვნა
1	2	3	4
საწარმოს წესდება	კი	https://www.sarajishvili.com/publicinfo?lang=ka	
ეთიკის კოდექსი	არა		
სტრატეგიის დოკუმენტი	არა		
კომიტეტის დებულებ(ებ)ი	არა		
საწარმოს ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურა	კი	https://www.sarajishvili.com/publicinfo?lang=ka	
შესაბამისი გადაწყვეტილებები	კი	https://www.sarajishvili.com/publicinfo?lang=ka	
საწარმოს რისკების მართვის ჩარჩო	არა		
შეფასების ანგარიშები	კი	https://www.sarajishvili.com/publicinfo?lang=ka	
პოლიტიკა/პროცედურები	არა		
სხდომების ოქმები	კი	https://www.sarajishvili.com/publicinfo?lang=ka	
წლიური ანგარიში	კი	https://www.sarajishvili.com/publicinfo?lang=ka	
სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რეზიუმე/ბიოგრაფიის ამსახველი ინფორმაცია	არა		
გადაწყვეტილებები	კი	https://www.sarajishvili.com/publicinfo?lang=ka	
სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)			